

რეგიონული განვითარების აროგრამა (GARF-RD)

## ტერიტორიული ოპერატორია - ურბანული და სასოფლო განვითარება



### გორის საინფორმაციო ცენტრი

ავტორები:

ლადო ვარდოსანიძე, კონსტანტინე კანდელაკი,  
ნათია ნადირაძე, ლიზა სოფროვაძე, მიხეილ ჩიტაძე

კონსულტანტი:

მამუკა აბულაძე

## სარჩევი

რეზიუმე -----	43
1. სიტუაციისა და პრობლემის ანალიზი -----	47
2. არსებული მდგომარეობა -----	50
2.1. ნინაისტორია -----	50
2.2. რეფორმისათვის საქირო საკანონმდებლო ბაზა -----	50
2.3. არსებული სისტემის პრობლემები -----	52
2.3.ა. თვითმმართველი ქალაქები -----	52
2.3.ბ. თვითმმართველი თემები -----	54
2.3.გ. ურბანული აგლომერაციები -----	55
3. პოლიტიკის მიზანი და აღტერნატივების შეფასების კრიტერიუმები -----	57
4. აღტერნატივები და მათი ანალიზი -----	58
4.1. თვითმმართველი ქალაქები -----	58
აღტერნატივა 1 -----	60
აღტერნატივა 2 -----	61
4.2. თვითმმართველი თემების ტერიტორიული ოპტიმიზაცია -----	62
აღტერნატივა 1 თვითმმართველი ქალაქის და ერთი თვითმმართველი თემის შექმნა -----	62
აღტერნატივა 2. მსხვილი მუნიციპალიტეტების დაყოფა -----	64
აღტერნატივა 3. თვითმმართველობის შექმნა ყველა დასახლებაში -----	64
4.3. ურბანული აგლომერაციის შემადგენლობა და მისი მართვა -----	65
5. შემოთავაზებული მოდელი -----	68
<b>დანართები</b>	
დანართი 1. გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის განსაზღვრა -----	69
დანართი 2. მუნიციპალიტეტები კოეფიციანტის მიხედვით -----	71
დანართი 3. თვითმმართველი თემები კოეფიციენტის მიხედვით -----	72
დანართი 4. ტრანსპორტზე მისაწვდომობა -----	73
დანართი 5. მოდელირების ეტაპები -----	74
ა. ეკონომიკური აქტივობის ცენტრების ბაზაზე ახალი თემების ფორმირება -----	74
ბ. სოციალურ-ეულტურული ცენტრების ბაზაზე თვითმმართველი თემების ფორმირება -----	75
გ. თვითმმართველი თემების საზღვრების დაგენის რეკომენდაციები -----	75
დანართი 6. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება 1990-2013 -----	76
დანართი 7. მიწის სამუალო ფართობი მეურნეობებში -----	77
დანართი 8. ამომრჩეველთა აქტივობა 2014 -----	78
დანართი 9. მოსახლეობის საშ. რაოდენობა ეროვნულ მუნიციპალიტეტებში -----	78
დანართი 10. საერთაშორისო გამოცდილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმების გატარების სფეროში -----	79
დანართი 11. თვითმმართველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობისა და სახელფასო ფონდის მატება -----	81
<b>ლიტერატურა -----</b>	<b>83</b>

## რეზიუმე

დღეს საქართველოში შეინიშნება სოფლიდან ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში მოსახლეობის მიგრაციის გამოხატული ტენდენცია, რასაც განაპირობებს ის, რომ საცხოვრებელი პირობები სოფლად, ქალაქთან შედარებით, უარესია და მისი გაუმჯობესების ტემპიც ქალაქთან შედარებით დაბალია.

სასოფლო დასახლებების ძალიან დიდ ნაწილში პრობლემურია სოციალურ და კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე მისანვდომობა, ცუდი საცხოვრებელი პირობების, სოციალურ და კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე მიუწვდომობის გარდა, სოფლიდან ქალაქში ინტენსიური მიგრაციის მეორე ძირითადი მიზეზია სოფელთან შედარებით, ქალაქებში დასაქმების მეტი შესაძლებლობა. საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში დომინირებს სოფლის მეურნეობაში დასაქმება, რომლის ნილადაც 52% მოდის, რომელთაგან 98% თვითდასაქმებულია. უკუდურესად დაბალი ეფექტურობის მქონე სასოფლო თვითდასაქმების ასეთი მაღალი ხევდრითი წილი სწორედ ის გარემოებაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესის მთავარ შემატერებელ გარემოებად გვევლინება და რომლის მოგვარებაც ქმედითი ლონისძიებების გარეშე შეუძლებელია.

პროცესების ამგვარად ნარჩირთვის შემთხვევაში თამამად შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ უახლოეს მომავალში სოფლების დეპოპულაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება და სამუშაო ძალის სიჭარებები ნარმოიქმნება ქალაქებში, რაც კიდევ უფრო გამძალებებს დიდი ქალაქების, უმთავრესად კი თბილისის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. თუ ქალაქებსა და რეგიონებში მრეწველობისა და მომსახურების სფეროს სხვა დარგების განვითარებამ ჭარბი მუშახელის დასაქმება ვერ შეძლო, გაძლიერდება საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაცია, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელობან რესურსს გამოაცილის.

აღნიშნულ პრობლემებს ამძაფრებს ქვეყანაში არაეფექტური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. 2005 წლის საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საფუძველზე, ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე მოხდა თვითმმართველი ერთეულების გამსხვილება, რამაც გამოიწვია:

- ქალაქებსა და სოფელს შორის ზღვარის წაშლა. არსებული მოწყობის პირობებში ერთ თვითმმართველ ერთეულში გევრი სოფლისა და ერთი ქალაქის გაერთიანება, რაც პირეელ რიგში, ქალაქების განვითარებას უშლის ხელს;
- ადგილობრივი მოსახლეობის თვითმმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობების რეალური შეზღუდვა;
- საქართველოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საშუალო რაოდენობის მნიშვნელოვნი ზრდა (63, 873 მცხოვრები), რომელიც თითქმის 10-ჯერ აღემატება საშუალო ეკონომიკურ მაჩვენებელს (6,688 მცხოვრები). რაც ნარმოადგენს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ხელისშემსრულ ფაქტორს ქვეყანაში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და თვითმმართველობების მიერ მოსახლეობისათვის მინდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- სოფლების მოსახლეობისათვის ადმინისტრაციულ ცენტრამდე ხელმისაწვდომობის გაუარესება.

ამავე დროს აღნიშნული მოწყობა არ ითვალისწინებს დასახლებათა ბუნებრივი აგლომერირების მართვასა და განვითარებას.

არსებული პრობლემების ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარებისთვის გადაუდებლად გადასაჭრელი ამოცანებია:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან, ხშირ შემთხვევაში, თავიდან აშენება, განსაკუთრებით, სოფლებში;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება არა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებების, არამედ პერსპექტივების გათვალისწინებით;
- ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამუშაო ადგილების შექმნა რურალურ მუნიციპალიტეტებში;
- ურბანული აგლომერაციების მართვის სისტემის ოპტიმიზება.

ამ ამოცანების შესრულება კომპლექსურ მიღებომას მოითხოვს, რისთვისაც სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული მცირე და საშუალო ურბანული ტიპის დასახლებების - დაბებისა და ქალაქებისა განვითარების, მათში საჯარო მომსახურების ღონის ამაღლებისა და სანარმოების შექმნის ხელშეწყობისაკენ, რაც ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების პირობებსა და კეთილმოწყობილ საარსებო გარემოს შექმნის, ნინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა უახლოეს მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის საფრთხის ნინაშე.

აღნიშნული ამოცანების შესრულებას სახელმწიფოს მხრიდან ყველა სფეროში კომპლექსური მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება ესაჭიროება, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ქვეყნის მოძველებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მოდერნიზაცია უნდა იყოს. ნინამდებარე დოკუმენტმა ჩამოყალიბა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები ქვეყნის ტერიტორიული ოპტიმიზაციისთვის, რაც, თავის მხრივ წარმოადგენს თვითმმართველობის, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნინაპირობას.

სახელმწიფოში ქმედითი თვითმმართველობის დანერგვა და ამოქმედება თავისთავად გულისხმობს ამ ინსტიტუტის ფუნქციურ-ტერიტორიული განზომილების გააზრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ცვლილებებში შემოფარგლვა მხოლოდ ფრაგმენტული ქმედებებით - როგორიცაა, მაგალითად, 2006 წელს „რაიონის“ ნაცვლად „მუნიციპალიტეტის“ ცნების შემოღება - ვერ პასუხობს ქვეყნის სისტემურ მოდერნიზაციის საჭიროებას. ამ შემთხვევაში, სისტემური ხედვა, უნინარესად, გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული განზომილების გააზრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსახლების ერთიანი სისტემის კონტექსტში. რის შესაძლებლობასაც იძლევა დღეს არსებული დეცენტრალიზაციის სტრატეგია და კანონმდებლობა.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ყველა საერთაშორისო მაგალითი და მუნიციპალური რეფორმების შეფასების კვლევები, რომელიც ნაშრომის მომზადებისას განზილულ იქნა ადასტურებს, რომ არ არსებობს უნიფიცირებული და უნივერსალური ფორმები, რომლის მიხედვითაც უნდა იგეგმებოდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმები. ერთი ცხადია - ყველა ქვეყნა განვითარების თავის გზას იწევს, მოცემულ მომენტში არსებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული საჭიროებების შესაბამისად.

შესაბამისად, ჩვენი ჯგუფის მიერ განეული სამუშაოს შედეგად განისაზღვრა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მუნიციპალური რეფორმის შედეგად ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა რეფორმის ოპტიმალურ ურბანიზაციას, დიდი და მცირე ქალაქების მდგრად განვითარებას, ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის ცხოვრების დონეში, საყოფაცხოვრებო პირობებსა და საჯარო მომსახურების მიწოდებაში სხვაობის შემცირებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელების შეფასებისას უნდა გამოყენებულ იქნა შემდეგი შეფასების კრიტერიუმები:

1. მოსახლეობისათვის სათემო მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწევდომობის გაუმჯობესება და მასში განთავსებული სოცილური და საჯარო ინფრასტრუქტურის ობიექტებთან მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობის გაზრდა.

2. იმ დასახლებების განვითარების ხელშეწყობა სათემო მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც გააჩინათ ურბანული განვითარების პოტენციალი (ადმინისტრაციული მომსახურების სერვისების განთავსება და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება ქალაქენარმომენტები საფუძვლის დიკერისითის მეშვეობით).

3. მუნიციპალიტეტების მოსახლეობის რაოდენობა ისეთ ფარგლებში, რომ ხელი შეეწყობს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, ამსათანავე, შენარჩუნებულ იქნას განვითარებისათვის საქმარისი დემოგრაფიული სიმძლავრე.

4. ურბანიზაციის არსებული ტენდენციების გათვალისწინება და აგლომერაციებში შემავალი ქალაქების საერთო პრობლემატიკიების ეფექტური მართვის ინსტრუმენტების შექმნა.

5. მომსახურების ცალკეულ სახეობთა მიხედვით საფეხურებრივი პრინციპით თვითმმართველობისთვის გადაცემის შესაძლებლობა - ამ ეტაპზე საკუთარი უფლებამოსილების მთელი სპექტრის განხორციელების შეუძლებლობა არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი თვითმმართველობის დანერგვაში. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დროებით შეავსოს ფუნქციათა ნაწილი („კონტრდეცენტრირება“), ამ ფუნქციების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში განსახორციელებელია დროში

განერილი, ფინანსური და საკადრო უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამების შექვეობით.

აღნიშნული მიზნისა და ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე ჯგუფის მიერ განისაზღვრა ქვეყნის ახალი ადგინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ძირითადი მიმართულებები:

1. 15.000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქების ცალკე მუნიციპალიტებად ჩამოყალიბება;
  2. ოვითმმართველი ოემების ტერიტორიული ოპტიმიზაცია - მსხვილი მუნიციპალიტების შედარებით მცირე თვითმმართველი ოემებად ჩამოყალიბება, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით;

3. ସ୍ଵର୍ଗାନ୍ତ୍ବଲୀ ଶେତ୍ରିକୀୟ ପେଣ୍ଟଲ୍ ଉପଦ୍ରବୀଙ୍କିଳିକା ଅନୁମିତିକୁ ପାଇଁ ପରିଚାରିତ ହେବାକୁ ଆବଶ୍ୟକ କରିଛା ।

ხოლო მისი განხორციელება შემდეგ შედეგებს მოიტანს:

1. მუნიციპალურობის სტატუსი მიენიჭება კიდევ 10 ქალაქს, სულ თვითმმართველი ქალაქების რიცხვი საქართველოში მიაღწევს 22-ს.

2. გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტების აღმინისტრაციული მართვა, მათი მოსახლეობისათვის საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი და გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

3. ხელი შეენყობა თვითმმართველი ქალაქების მდგრად ურბანულ განვითარებას, მათში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას და დიდი ურბანული ცენტრებისა და აგლომერაციების (თბილისი, ბათუმი) მიმართულებით მიღრავის ნაკადის შემჭირებას.

4. თვითმმართველი თემბპის რიცხვი დაახლოებით გასამშაგდება და მუნიციპალიტეტის საშუალო ზომა მიუკავშირდება საშუალოებრივოდ.

5. ხელი შეუწყობა ახალი თვითმმართველი თემების აღმინისტრაციული ცენტრების - დაბებისა და მცირე ქალაქების მდგრად ურბანულ განვითარებას, ახალი ურბანული ცენტრების გაჩენას, მათში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას და დიდი ურბანული ცენტრებისა და აგლომერაციების (თბილისი, ბათუმი) მიმართულებით მიგრაციის ნაკადის შემცირებას.

6. ხელი შეენყობა დედაქალაქისა და მიმდებარე ქალაქების: მცხეთის, რუსთავისა და გარდაბანისგან შემდგარი ურბანული აგლომერაციის მდგრად განვითარებას, მისი დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას და საერთო პრობლემატიკის ოპტიმიზაციურ გადაწყვეტას, რითაც გაუმჯობესდება მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხი და საკუთრებული გარემო.

## 1. სიტუაციისა და პრობლემის ანალიზი

საქართველოში მცხოვრები 3,729,635 ადამიანიდან 2,140,126 ქალაქად ცხოვრობს, ანუ ურბანიზაციის დონე 2015 წლისათვის 57,4%-ს შეადგენს. 2004-2014 ნებანი როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელიც უფრო საგრძნობი იყო სოფლად, და ნაკლებად იყო გამოხატულ ქალაქად. სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან ან ქალაქებიდან მიგრაციული პროცესების გამო ქვეყნის ერთადერთი მეგაპოლისის - თბილისის მოსახლეობის რაოდენობის საკმაოდ მცველრად გამოხატული ზრდა 2000 წლის შემდგომი აღინიშნება.<sup>1</sup> დიდი ქალაქების გარდა, სხვა მუნიციპალიტებში მოსახლეობის ცვლილების დინამიკა მცველრად უარყოფითია და ბუნებრივი მატების ტენდენციის შემცირებასთან ერთად, მიგრაციის ნეგატიური ზეგავლენაც ემატება (დანართი 6). ამ ორი ფაქტორის თანხვედრის შედეგად საკმაო მძიმე მდგომარეობა იკვეთება სოფლად, სადაც როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციის ზეგავლენით მოსახლეობის შემცირების ტენდენცია ძალიან მცველრია. უძინიესი დემოგრაფიული მდგომარეობით გამოიჩინება მაღალმითიანი ტერიტორიები: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე მცხეთა-მთიანეთის მხარის მაღალმითიანი ნაწილი.<sup>2</sup>

სოფლიდან ქალაქად მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორის წარმოადგენს ის, რომ საცხოვრებელი პირობები სოფლად, ქალაქთან შედარებით, უარესია და მისი გაუმჯობესების ტემპიც ქალაქთან შედარებით დაბალია.

რურალურ დასახლებების ძალიან დიდ ნაწილში პრობლემურია სოციალურ ინფრასტრუქტურაზე მისან-ვდომობა მაგ., განათლებაზე (საბაზოს გარდა) დაბალი მისანვდომობა არის სოფლიდან ქალაქად შიდა მიგრაციის ვექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი: სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას განათლებაზე გაცილებით უფრო ნაკლებად მიუნვდება ხელი ვიდრე ქალაქის მოსახლეობას, მ.შ. სკოლამდელ განათლებაზე - 2-ჯერ უფრო ნაკლებად, ხოლო დამატებით (სკოლისგარეშე) და უმაღლეს განათლებაზე მისახვდომობა სოფლად დრიამატულად დაბალ ხიმულზე; ამასთან, რაც უფრო ხაკლებულია რეგიონი, მით უარესია განათლებაზე მისანვდომობა. ბიბლიოთეკაზე ცუდი მისანვდომობა ან სრული მიუნვდომლობის პრობლემა სოფლების 30%-ს აქვს, სადაც სოფლის მოსახლეობის 25% ცხოვრობს, ხოლო ნიგნების მაღაზიებზე იყიდება პრობლემა სოფლების 45%-ს აქვს (მოსახლეობის 36%). ჯერ კიდევ პრობლემაა სასწრაფო სამედიცინო დაბმარება, რომელზეც ცუდი მისანვდომობა ან სრული მიუნვდომლობა სოფლების 30%-ს აწესებს (მოსახლეობის 18%), ხოლო სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მისანვდომობის პრობლემა პატარა სოფლებში უფრო მნიშვნელოვანია (სოფლების მთლიანი რაოდენობის 32%, სადაც სოფლის მთლიანი მოსახლეობის 23%).<sup>3</sup>

რურალურ დასახლებებში პრობლემურია კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე მისანვდომობა - მაგ., წყლისა და წყალარინების სისტემებზე მისანვდომობა. წყალმიმარაგების სისტემაზე მთლიანად საქართველოს სოფლების 52 %-ს, სადაც სოფლის მოსახლეობის 39% ცხოვრობს, ცუდი მისანვდომობა აქვს, ხოლო სრული მიუნვდომლობა ძალიან მაღალია და ამით ხასიათდება სოფლების 5% (სოფლის მოსახლეობის 11%). საქანალიზაციო სისტემაზე მისანვდომობის საკითხი ერთვნული მასშტაბისა და ამ თვალსაზრისით ყველა რურალური მუნიციპალიტეტები პრობლემურია, ხოლო სოფლებში ასეთი სისტემები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ასევე ძალიან დაბალია გაზმომარაგების სისტემით უზრუნველყოფის ხარისხი საქართველოს სოფლებში და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემაა: ამ მხრივ სრული მიუნვდომლობით ხასიათდება სოფლების 90%, სადაც მთლიანად სოფლის მოსახლეობის 70% ცხოვრობს.<sup>4</sup>

ცუდი საცხოვრებელი პირობების, სოციალურ და კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე მიუნვდომლობის გარდა, სოფლიდან ქალაქში ინტენსიური მიგრაციის მეორე ძირითადი მიზეზი სოფელთან შედარებით,


<sup>1</sup> ნ.კაპანაძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონულ ჭრილში. ძირითადი ტენდენციები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები. UNDP, 2015

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე

ქალაქებში დასაქმების შესაძლებლობის ზრდა არის: ურბანიზაცია და ქალაქით 15 წლის შაულიობის ასაკის მოსახლეობის დასაქმების დონის მაჩვენებლები მსგავსი დინამიკით ნიშანობება.<sup>5</sup>



საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში დომინირებს სოფლის მეურნეობაში დასაქმება, რომლის წილადაც 52% მოდის, რომელთაგან 98% თითოეული დასაქმებულია.<sup>7</sup> 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში ოჯახური მეურნეობების რაოდენობამ 640,302 ერთეული შეადგინა. უკუდურესად დაბალი ეფექტურობის მქონე სასოფლო თეოთდასაქმების ასეთი მაღალი ხევდრითი ნილი სწორედ ის გარემოებაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესის მთავარ შემაფერხებელ გარემოებად გვევლინება და რომლის მოგვარებაც ქმედითი ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია.

სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ეითარდება, დომინირებს მცირე მეურნეობები, რომლებიც უერ უზრუნველყოფს ნარმობის მაღალეუქტიანობას, შესაბამისად, გვაქვს მცირე დივერსიფიკაციის და საექსპორტო შესაძლებლობები და უმატებერობის მაღალი დონე.<sup>8</sup> აგრარულ სექტორში დასაქმებულთა 95% მცირე მენარმეები არიან (თითოეულ ოჯახზე მოდის საშუალოდ 1,2 ჰექტარი სასოფლო სამეურეო სავარგული და 2 ძროხა), ასე რომ, მათ მიერ ნარმოებული პროდუქცია ძალზე მნიშვნა. ქვეყანაში არსებული სილარიბის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ვერ მოხერხდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაცია.<sup>9</sup>

აგრარული სექტორის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის და დეკაპიტალიზაციის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება, მოსახლიანობა და მნარმოებლურობის სხვა მაჩვენებლები, რაც, საბოლოო ჯამში, ამ სექტორის პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობაში აისახება. სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფად არსებითია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც განსაზღვრავს სხვა

<sup>5</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, 2014 <http://www.geostat.ge>.

შენიშვნა: დაბალი მაჩვენებების შედეგინიას ურბანიზაციის დონის მაჩვენებლები აღებულია 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, დასაქმების დონის მაჩვენებლები - 2013 წლის შედეგებით, ამდენად, დიაგრამებზე ნაჩვენებია მაჩვენებლების დონიამიკა ურთიერთშესაბამის დონით შეაღებული.

<sup>6</sup> ნ. ამანაძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონულ ჭრილში. ძირითადი ტენდენციები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები, 2015

<sup>7</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტატეგია, 2015

<sup>8</sup> საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოედევა, სამუშაო ძალის მოდული

<sup>9</sup> ეკონომიკის მართვადებულობა საქართველოში, სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების მინისტრის საქართველოსთვის [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture\\_and\\_rural\\_development/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm)

დარგებთან მის ურთიერთქმედებას. აკრარულ სექტორში ინვესტირებას, მაღალი ტექნოლოგიებისა და ხარისხიანი მენეჯმენტის გამოყენებას შედეგის მოტანა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ერთ დასაქმებულზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოვა, ანუ გამსხვილდება არსებული მცირე მეურნეობები. მაგალითისათვის შეგვიძლია შევადაროთ ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობის საშუალო სიდიდე 14,1 ჰა (2010)<sup>10</sup>, სადაც სოფლის მეურნეობა გაცილებით რენტაბელურია საქართველოსთან შედარებით, სადაც შინამეურნეობის საშუალო ზომა 3,61 ჰა არის.<sup>11</sup>

საქართველო მეტად მცირემინიანი ქვეყნაა (ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი 2.99 მლნ. ჰექტარია, რაც მთლიანი მიწის ფონდის 43.1%-ია. 2009 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო მიწების 0.68 ჰა და სახნავ-სათესი მიწების 0.17 ჰა, ხოლო სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე - სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის 1.44 ჰა და სახნავ-სათესი მიწის - 0.38 ჰა<sup>12</sup>), ამიტომ აკრარულ სექტორში ტექნოლოგიური ცვლილებების და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების შედეგად მოსალოდნელია სასოფლო თვითდასაქმების ხევდრითი წონის შემცირება, რაც აუცილებლად გამოიწვევს გამოთავისუფლებული მუშახელის შემოსვლას შრომის ბაზარზე, უპირატესად - ქალაქები, რაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციას გააძლიერებს.<sup>13</sup> ამგვარად არსებული მოცულობით სამუშაო ძალის საჭიროება, ეფროპის გამოცდილებაზე დაფუძნებული ექსპერტული გათვალებით, დახლოებით 25%-ით შემცირდება.<sup>14</sup>

პროცესების ამგვარად ნარმართვის შემთხვევაში თამამად შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ უახლოეს მომავალში სოფლების დეპოულაციის პროცესები ეიდევ უფრო გაღრმავდება და სამუშაო ძალის სიჭარბის ნარმოიქმნება ქალაქებში, რაც კიდევ უფრო გამძაფრებს დიდი ქალაქების, უმთავრესად კი თბილისის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. თუ ქალაქებსა და რეგიონებში მრეწველობისა და მომსახურების სფეროს სხვა დარგების განვითარებამ ჭარბი მუშახელის დასაქმება ვერ შეძლო, გაძლიერდება საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაცია, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელობან რესურსს გამოაცლის.

აღნიშნულ პრობლემასთან გამოლავებას და არსებული ტენდენციების ნეგატიური ეფექტების რეაციონებას სახელმწიფოს მხრიდან ყველა სფეროში კომპლექსური მიზანმიმართული პოლოტიკის გატარება ესაჭიროება, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ქვეყნის მოძველებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მოდერნიზაცია უნდა იყოს. ნინამდებარე დოკუმენტის მიზანია ჩამოყალიბოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები ქვეყნის ტერიტორიული ოპტიმიზაციისთვის, რაც, თავის მხრივ ნარმოადგენს თვითმმართველობის, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნინაპირობას.

<sup>10</sup> თენციზ შერგელაშეილი, მიხეილ თოქმაზიშეილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, შეადგეული ანგარიში, "ეკონომიკური ინიციატივა - ლიბერალური პარტია თბილისი", 2012, გვ. 17

<sup>11</sup> საქართველოს, საქართველოს მინისტრუნებების ინტეგრირებული გამოკვლევა, სამუშაო ძალის მოდული

<sup>12</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, 2010, სოფლის მეურნეობა.

<sup>13</sup> <http://www.nplg.gov.ge/gad/librarian/library.exe?e=d-01000-00-off-Oekonomik-00-1-0-10-0-0-0-0-prompt-10--%2a-4---4-0-1|11-n-10---10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL1.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.7.4>

<sup>14</sup> ნ. ე. პანაძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგრადირება რეგიონულ ჭრილობი. ძირითადი ტერდენციები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები. 2015

<sup>15</sup> თენციზ შერგელაშეილი, მიხეილ თოქმაზიშეილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, "ეკონომიკური ინიციატივა - ლიბერალური პარტია თბილისი" EI-LAT 2012

## 2. አስተዳደሪያ ደንብ ስምምነት

## 2.1. ნინაის ტრანს

სახელმწიფოში ქმედითი თვითმმართველობის დანერგვა და ამოქმედება თავისითავად გულისხმობს ამ ინსტიტუტის ფუნქციურ-ტერიტორიული განზომილების გააზრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში ეს პროცესი შეფერხდა 1995 წელს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციამ იმპერატიულად დაადგინა: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოჯვენის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. იმ დროს ამ კონსტიტუციური ნორმის შემთხვება, ერთიანი მხრივ, ასახავდა ქართული საზოგადოების ოპტიმისტურ განწყობას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაპრუნების თვალიაზრისით, მეორე მხრივ კი დე-ფაქტო მთავრობებს სთავაზობდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან აფხაზეთის მომავალ სტატუსზე მოლაპარაკების ჯერ შეუვსებელ კონსტიტუციურ სივრცეს. გავლილი 20 წლის მოვლენებმა ცხადშეყო, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური გათვლა არარეალისტური გამოდგა.

დღესაც, ქვეყნის ნამედანი პოლიტიკური ძალები, ძირითადად, ეთნოპოლიტიკური მიზეზების გამო, თავს იყავებენ ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის წამოწებისაგან საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თაობაზე და კმაყოფილდებიან საბჭოთა კავშირის დროინდელი საქართველოს სიერცით მოწყობის მოდელით, რომელიც გარკვეული და ემყარებოდა მაშინდელი ცენტრალიზებული დაგეგმვების მქონე სოციალისტური მეცნიერების განვითარების საჭიროებებს.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ცელისებრში შემოფარგლუა მხოლოდ ფრაგმენტული ქმედებებით - როგორიცაა, მაგალითად, 2006 წელს „რაიონის“ ნაცელად „მუნიციპალიტეტის“ ცნების შემოღება - ვერ პასუხობს ქვეყნის სისტემურ მოდერნიზაციის საჭიროებას. ამ შემთხვევაში, სისტემური ხედვა, უნინარესად, გულისხმობს ადგილიმორივი თვითმმართველობის ტერიტორიული განზომილების გააზრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსახლების ერთიანი სისტემის კონტექსტში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცენტრალურ ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, არ მომხდარა რომელიმე ერთი კონცეპტუალური ხედვის მიხედვით ადმინისტრაციული დაყოფის გადახედვა და ისეთი მუნიციპალური მოწყობისაკენ სელა, რომელიც უპასუხებდა საბაზრო ეკონომიკის ახალ რეალიებს და ხელს შეუწყობდა ადგილებზე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პერიოდში ქვეყნის სათავეში მყოფ განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს საღი აზრი კარნაბობდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი რეალობისათვის მისადაცების საჭიროებას და არსებობდა ამ ცვლილებების განხორციელებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა<sup>15</sup> მაინც ვერ მოხერხდა ამ მიმართულებით კარდინალური ღონისძიებების განხორციელება. ამის მიზეზი იყო ამ სფეროში რეფორმის აუცილებლობის გაუცნობიერებლობა, და შესაბამისი სურვილისა და პოლიტიკური ნების არარსებობა. სხვადასხვა მოსაზრებებით (ადგილებზე სტაბილურობის შენარჩუნება, რეფორმის განხორციელებისათვის შესაფერისი საგარეო ან საშინაო სიტუაციის არარსებობა, არსებული სისტემის ტრადიციულობით განპირობებული ცენტრიდან მართვის სიიღობე და მისთ.) ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა გაუწევილი ვადით გადაიდებოდა-ხოლმე<sup>16</sup>.

2.2. რეფორმისათვის საფინანსო საკანონიერებლები ჰაზარ

2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიით“ მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და მოდერნიზაცია რეფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქნა გამოცხადებული: „2013 წელს შეიქმნება საქართველოს ბაზა, რომლის შესაბამისადაც დასახლებები ან დასახლებათა ერთობლიობები ჩამოყალიბდება როგორც თვითმმართველი ერთეულები - თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი

<sup>15</sup> საქართველოს მერიული კიბის პრინციპულური მიზანი #321, 14.05.1999 დამტკიცებული „დეპულება საქართველოს აღმინისტრაციული მოწყობის საკონსა დამატებულის წესის შესახებ“

<sup>18</sup> მათულებელი აკულის დანართი, მუნიციპალური რეგიონში, აღმოჩენის ტერიტორიული სპეციალური გარეშე, მთლიან კასმეტრა ინიციატივა 02.08.2013 <http://www.lsg.ge/?cat=news&topic=1807&lang=ka>

თემები. ამ მიზნით, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებაშედე კანონით დადგინდება მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩარჩო-კრიტიკულებიდა პრინციპები.<sup>17</sup>

2013 წლის 31 იქტიომებურს საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების დასაწყისი ასე მოიაზრებოდა: თვითმმართველ ქალაქებად უნდა გამოყოფილიყო 15,000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქები, ხოლო ყოფილი მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო რამდენიმე თვითმმართველი სათემო მუნიციპალიტეტი. კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: „თვითმმართველი ქალაქი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია არანაცენტრი 15,000 მოსახლე, გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი და მინიჭებული აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი“<sup>18</sup>, მაგრამ პარლამენტში პირველი მოსმენის შემდეგ, რომელსაც წინ უძღვდა პოლიტიკური დებატები, ეს კრიტიკუმი ამოიღეს და დარჩა ასეთი ჩანაწერი: „თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად გააჩნია ან მიერიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი“<sup>19</sup>.

2014 წლის 5 თებერვალს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება ხელისუფლების მიერ რეფორმის პირველ ტეაპად დასახელდა, ხოლო მისი მეორე მნიშვნელოვანი ტეაპი კოდექსის „გარდამავალ დებულებებში“ მოცემულ ვალდებულებათა შესრულება უნდა ყოფილიყო, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა შეიღი ახალი თვითმმართველი ქალაქის გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიებზე თვითმმართველი თემების ფორმირებას, რასაც სამომავლო ფართომასშტაბიანი ტერიტორიული რეფორმის-თვის პილოტირების როლი უნდა შეესრულებინა.

2013 წლის 13 მარტს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიიმ პრესით გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც კომისია „მოსახლეობას სთავაზობს თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიიაზე არსებულ დასახლებათაგან თითო თვითმმართველი თემის შექმნის შესაძლებლობის განხილვას, ადმინისტრაციული ცენტრებით თვითმმართველ ქალაქებში“<sup>20</sup>. 16 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გადაწილებულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის ამგარი მიღებობა და შეიძიგვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოსახლეობას ნარუდგინეს ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მათეული გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ გორისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა გაიზიარეს და მოინონეს თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე არა ერთი, არამედ რამდენიმე მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბების იდეა,<sup>21,22</sup> საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა არც არასამთავრობოების და არც ამ ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აზრი და 31 მარტს მიიღო განკარგულება, პარლამენტის თვის შეეთავაზებინა თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე თითო მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება<sup>23</sup> იყიდვე შინაარსის დადგენილება მიიღო პარლამენტმა 2014 წლის 4 აპრილს.<sup>24</sup>

2014 წლის პრილ-ივნისში თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის პროცესში ქონებისა და ვალდებულებების გაყოფის პროცესს ნარმატებით გაართვა თავი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, რომლის მიერ მომზადებულ იქნა საჭირო საკანონმდებლო ბაზა,<sup>25</sup> ხოლო მუნიციპალიტეტების

17 საქართველოს მთავრობის განკარგულება №223 01.03.2013 „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის მიმღებადი პრიკაპები 2013-2014 წლებისთვეს“ [https://imatsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2209502&lang=ge](https://imatsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2209502&lang=ge)

18 საქართველოს ორგანული კანონის პრიკაპტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ <http://static.mrdi.gov.ge/529de3c10cf276b73b39d88f.pdf>

19 საქართველოს ორგანული კანონის პრიკაპტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (მიღებულია პირველი მოსმენით) <http://static.mrdi.gov.ge/52d6a85ba0cf2dc82a765ffab.pdf>

20 განვითა „რეზონაბისი“ 13 მარტი 2014 წ. 065(7707), გვ.4

21 გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის განკარგულება № 43 „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მოტივიზაციის თაობაზე“

22 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის 3 სხდომის ოქმი

23 საქართველოს მთავრობის განკარგულება №515, 31.03. 2014 „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ [https://imatsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2314070&lang=ge](https://imatsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2314070&lang=ge)

24 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“, 4 აპრილ 2014 წ. N2205-III [https://imatsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2310718&lang=ge](https://imatsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2310718&lang=ge)

25 საქართველოს მთავრობის დადგენილება №363 30.05.2014 „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაბეჭდის ნების დამტკიცების შესახებ“ [https://imatsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2360626&lang=ge](https://imatsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2360626&lang=ge)

საკრებულოებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მიუხედავად მოლოდინებისა,<sup>26</sup> რომ არჩევნების ჩატარების შემდგომ ახლად წარმოქმნილ თვითმმართველ ქალაქისა და მუნიციპალიტეტს შორის რთული იქნებოდა ბიუჯეტის ნაშთისა და საბიუჯეტო წლის დასაპისმი აღებული ვალდებულებების გადანაწილება, ეს პროცესიც წარმატებით იქნა დასრულებული<sup>27</sup> ამდენად, სახელმწიფო სტრუქტურებს აქვთ ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის განხორციელების რესურსი, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.

გარდა 7 თვითმმართველი ქალაქის გამოყოფისა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლი საქართველოს მთავრობას ავალდებულებს, მუშაობა გააგრძელოს სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის მიმართულებით, კერძოდ, ამ მუხლის პირველ პუნქტში ნათევამია, რომ „...საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია... ამზადებს ნინადადებებს სხვა მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არაუგვიანეს ერთი წლისა საქართველოს მთავრობას წარუდგენს ნინადადებებს ამ მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებით“.

საერთო მდგრადი ბაზის განხილვისას არსებითა, რომ საქართველოს პარლამენტი 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს საქართველოს კანონის - „სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის“ პროექტს. კოდექსის პროექტი ავსებს დღეს მოქმედი ნორმატიულ დოკუმენტებში ცნებით-ტერმინოლოგიურ ხარვეზს, რაც იმაში გამოიხატება, რომ განსახლების ფუნქციურ-სტრუქტურულ კატეგორიებს (ტიპებს) შორის ამჟამად არ არის მოხსენიებული საქალაქო აგლომერაცია და მისი გეოგრაფიული ფარგლები - მეტროპოლიური არეალი.

კოდექსის პროექტი საქალაქო აგლომერაციის ცნებას შემდეგნაირად აყალიბებს: „აგლომერაცია - მონოკუნტრული ან პოლიცენტრული კონფიგურაციის დასახლებათა სიერცითი დაჯგუფება, რომელიც ურთირთდამოებულია ინტენსიური საქმიანი, სანარმოო, ეულტურულ-საგანმანათლებლო, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურული კავშირებით“ (მუხლი 1.ა.). მნიშვნელოვანია კანონპროექტის ნორმა (მუხლი 6.2.), რომელიც ადგენს, რომ „ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ქალაქების განვითარების აგლომერაციის გეგმის შემუშავება, რომელის მიმართ გამოიყენება ტრანსმუნიციპალური/მუნიციპალური სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი ნესები“. აქ გათვალისწინებულია UN Habitat Program-ის მიერ გამოყენებული საქალაქო აგლომერაციის შემდეგი დეფინიცია: „საქალაქო აგლომერაცია - გაშენებული ან მჭიდროდ დასახლებული არეალი, რომელიც მოიცავს საკუთრივ ქალაქს, გარეუბნებსა და კომიუნიტეტების<sup>28</sup> მიერ უწყვეტად დასახლებულ ტერიტორიას“.

## 2.3. არსებული სისტემის პრობლემები

### 2.3.1. თვითმმართვის კალაპები

საქართველოში ამჟამად 54 ქალაქი და 42 დაბაა. ქალაქებს შორის ყველაზე მცირეს (ნალექა, ცაგერი) მოსახლეობა 2,000-ს არ აღემატება, ყველაზე დიდების (თბილისის შემდეგ) მოსახლეობა კი 100,000-ზე მეტია (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი). 10 ქალაქს, რომელსაც თვითმმართველობა არ გააჩნია, 15,000-ზე მეტი მაცხოვრებელი ჰყავს. ამ ქალაქებს სხვა დასახლებებისგან, დაბებისა და სოფლებისგან გამოიჩინება საქალაქო მეურნეობის (კანალიზაცია, გარე განათება) არსებობა, ურბანული გარემო (ქუჩები, ტრანსპორტი, სკვერები, პარკები) კულტურული დაწესებულებების (თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა), მომსახურების და ვაჭრობის ობიექტების (ბანკები, სადაზღვევო, ჯანდაცვის, იურიდიული კომისანიებიდა სხვ.) კონცენტრაცია. ბევრ მათგანს ქალაქური ცხოვრების საკუთარი ისტორია და ტრადიცია აქვს. მაგ., ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, თელავი, სიღნაღმი, ახალციხე და სხვა ქალაქები XIX საუკუნეში უკვე იყენენ ურბანული ტიპის დასახლებები, პქონდათ ქალაქური ტიპის ცხოვრება და გააჩნდათ საქართვის თვითმმართველობა.<sup>29</sup>

<sup>26</sup> საერთო მორის გამჭვირვალობა - საქართველო, თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი სიახლეები <http://transparency.ge/blog/vitimmartvelobis-kodeksis-dziritali-eiakhlebi/?page=3>

<sup>27</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №384 11.06.2014 „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედეგის, საბიუჯეტო შემთხველობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ [https://matane.gov.ge/index.php?option=com\\_jmsearch&view=docView&id=2370947&lang=ge](https://matane.gov.ge/index.php?option=com_jmsearch&view=docView&id=2370947&lang=ge)

<sup>28</sup> კომიტეტი - პირი, რომელიც რეგულარულად გადის გარეურებულ მანძილს დასაქმების ადგილამზე

<sup>29</sup> გრიგოლ მახარაძე, საქალაქო თვითმმართველობა. <http://emc.org.ge/saqalakho-tvotim-mamartvareloba>

ქალაქი	თვითმმართველობის შემოღების წელი	ქალაქი	თვითმმართველობის შემოღების წელი
თბილისი	1874	თელავი	1892
ქუთაისი	1875	სიღნაღი	1892
გორი	1876	ახალქალაქი	1892
ახალციხე	1876	ოზურგეთი	1892
ფოთი	1882	სოხუმი	1892
ბათუმი	1888		

XX საუკუნის 30-იან ნლებში შემოღებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ე.ნ. „დარაიონების“ საბჭოთა სისტემა არ ითვალისწინებდა ურბანული და სასოფლო დასახლებების გამიჯენას. მანამდე არსებული სამაზრო ქალაქები, რომლებიც XIX საუკუნეში ქალაქური ცხოვრებით გამოიჩინდნენ და ურბანულ დასახლებებად ვითარდებოდნენ, მოქუცნენ სხვადასხვა რაიონების შემადგენლობაში. მხოლოდ რამდენიმე მსხვილი სამრეწველო ქალაქი (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ტყევარჩელი) დარჩა მეტი კონტროლისთვის რაიონული სისტემის გარეთ – ე.ნ. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქვეშ, ხოლო ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო და გაგრა ცენტრზე დამოკიდებულ ტერიტორიებად ითვლებოდა და რაიონის სტატუსი იფიციალურად არ ჰქონდა. საბჭოთა სინამდვილისთვის ურბანული გარემო არ ნარმოადგენდა თავისითავად მნიშვნელოვან ფასეულობას, პირიქით, ქალაქური გარემო და ცხოვრების ქალაქური ნესი, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოქალაქეობასა და მოქალაქეობრივ იდეებთან, საფრთხეს უქმნიდა შიშა და მორჩილებაზე დამყარებული პიპერცენტრალიზებულ სახელმწიფოს. იმავდროულად, რაიონული წყობა სრულ პარმონიაში მოდიოდა იმდროინდელ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და დასაქმების სტრუქტურუბობათ, ცენტრალურ სუბულ-გუგმიურ ეკუნიომიკასთან და საზოგადოების ტრადიციული რურალური ცხოვრების წესთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მომხდარი კარდინალური ცვლილებების პირობებში ცენტრალურ გეგმიური ეკონომიკის დანგრევის, ძლიერი მიგრაციული ნაკადების, დასაქმების სტრუქტურის მკვეთრი ცვლილების მიზედავად, ტერიტორიული მოწყობა ნარსულის რედიმენტად შემორჩა. თვითმმართველობის რეფორმირების ყველა მცდელობამ – 1998, 2002 და 2006 წლებში – არსებითად შეინარჩუნა რაიონული მოწყობა. 2014 წლამდე საქართველოში თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ანუ საკუთარი თვითმმართველობა მხოლოდ ხუთ ქალაქს (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი) გააჩნდა.<sup>30</sup> დანარჩენი ქალაქები გაერთიანებული იყო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, რომლებიც, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში შექმნილი ტერიტორიული ერთეულების – რაიონების სახელშეცვლილი მემკვიდრეებია და ნარმოადგენ ერთი ურბანული ტიპის დასახლებისა (ქალაქი, ან დაბა) და სოფლების გაერთიანებას.

დღევანდელ მუნიციპალიტეტებში ქალაქება და სოფელს შორის ზღვარი წაშლილია. არსებული მოწყობის პირობებში ერთ თვითმმართველ ერთეულში ბევრი სოფლისა და ერთი ქალაქის გაერთიანება პირველ რიგში ქალაქების განვითარებას უშლის ხელს. ქალაქი, რომელიც სათემო მუნიციპალიტეტის ცენტრია, ნარმოადგენს ახლომდებარე სოფლებისთვის ადმინისტრაციულ და ეულტურულ ცენტრს, ვაჭრობისა და მომსახურების მიწოდების ძირითად სივრცეს. მაგრამ, ქალაქება და სოფელს სხვადასხვა ამოცანებიუდგათ ნინ. სოფლისთვის სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება (გზა, დაზღვევა, სესხები, შხამქიმიკატებიდა ა.შ.) არის პრიორიტეტული, ქალაქისთვის კი, შიდასაქალაქო ინფრასტრუქტურა, განაშენიანების და მინათსარგებლობის რეგულირების გეგმების მიღება, ტრანსპორტის რეგულირება, გამნევანება, მყარი ნარჩენების მართვა, სანიალერე და საკანალიზაციო სისტემების მართვა და სხვა ურბანული საკითხებია მნიშვნელოვანი. არსებული პრაქტიკით ჩანს, რომ ადგილობრივი საერებულოებისა და გამგეობების დღის წესრიგში ურბანული თემებიარ ხვდება.

<sup>30</sup> ეკუპირებული ქალაქები სოხუმი და ცხინვალი ასევე თვითმმართველ ქალაქებად განიხილება

მუნიციპალიტეტების საკრებულოები ნაწილობრივ პარტიულ-პროპორციული, ნაწილობრივ კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კომპლექტდება. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებები საკრებულოში ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევენ. შესაბამისად, საკრებულოებში გადაწყვეტილებების მიღების დროს სოფულების ინტერესი გაცილებით ფართოდა ხოლმე ნარმოდგენილი, ვიდრე ქალაქის, მაგ.: 2010-1014 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 39 ნევრიდან 10 პარტიული სიით იყო არჩეული (საკრებულოს ნევრია 25%), 28 სოფლის დეპუტატი იყო (72%) და მხოლოდ ერთი – ქალაქის (3%).

ყველა ქალაქი არ არის თვითმმართველი და ამ მხრივ ქვეყანაში მნიშვნელოვანი აღოგიერი დისპროპორციაა, რომელსაც არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა ქმნის არა მხოლოდ მცირე, არამედ შედარებით დიდი მოცულობის ქალაქების მიმართ. მაგალითად, თუ შესახლებელია ჩიხატაურისა და სტეფანიშვილისა მსგავსი მცირე დაბების ახლომდებარე სასოფლო დასახლებებთან ერთად ერთ მუნიციპალიტეტში გაერთიანების დასაბუთება, ნარმოდგენელია იგივე დასაბუთება საქართველოს პირობებში საშუალოზე დიდი ქალაქებისთვის, მაგ., სამტრედის (30,213 მც.). ან ხაშურისთვის (30,026 მც.), რომელსაც თვითმმართველი ქალაქის სტატუსი არ აქვთ მაშინ, როდესაც ეს სტატუსი მინიჭებული აქვს მოსახლეობის რაოდენობით გაცილებით უფრო მცირე ქალაქებს – მცხეთას (7,700 მც.) და ამბროლაურს (2,580 მც.). მოქმედი სისტემა უსამართლოა, რამდენადაც მას არსებითად ერთი ტიპისა და ზომის ქალაქებში შემოაქვს დაუსაბუთებელი განსხვავება და უთანასწორო პირობებს უქმნის ამ ქალაქების მოსახლეობას საჯარო სერვისების მიღებისა და თვითმმართველობის უფლების განხორციელების თვალსაზრისით.

### 2.3.8. თვითმმართველი თემები

2005 წლის საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საფუძველზე, თვითმმართველობის უფლება დაკარგა 1,000-ზე მეტმა თვითმმართველიმა ერთეულში (ქალაქში, დაბაში, თემში და სოფელში). სანაცვლოდ, თვითმმართველი ერთეულები შეიქმნა ყოფილი რაიონული მმართველობის საზღვრებში, ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, რამაც რეალურად შეზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის თვითმმართველობაში მონაცილეობის შესაძლებლობები. თვითმმართველი ერთეულების გამსხვილების პირობებში სოფლის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს მორის ურთიერთობა გახდა დისტანციური, ვერ ხერხდება მოსახლეობის პრობლემებზე სათანადო და დროული რეაგირება, განსაკუთრებით მთაში, სადაც ვითარებას ართველებს საკომუნიკაცია და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა.

2006 წელს თვითმმართველობის ქვედა დონის გაუქმების შედეგად მოსახლეობა კიდევ უფრო დაშორდა ხელისუფლების ორგანოებს - თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა მოქალაქეთათვის მნიშვნელოვნად გართულდა; ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესის შეჩერებამ გააუარესა როგორც საზოგადოების ჩართულობის, ისე საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. სოფლებში გამგეობის რემუნებულის (2014-დან - გამგებლის ნარმომადგენელი) სუბმუნიციპალური ინსტიტუტის შემოღებამ რეალურად ვერ უზრუნველყო თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართვა. ხშირ შემთხვევაში, ის გამოიყენებოდა მხოლოდ საარჩევნო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.<sup>31</sup>

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის აუცილებელია თვითმმართველობის საქმიანობისადმი მოქალაქეთა მაღალი ინტერესი, რომელიც უმჯობესია შეფასდეს მათი რეალური ქცევით, განსაკუთრებით, ადგილობრივ არჩევნებში მონაცილეობით. ერთობელ ქვეყნებში არსებობს დამოკიდებულება დასახლებების ზომისა და ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ინტერესს მორის: მცირე ქალაქებსა და სოფლებში ის მეტია, ეიდრე დიდ ქალაქებში და საარჩევნო აქტივობა დამოკიდებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ზომაზე<sup>32</sup> (მოსახლეობის რაოდენობაზე). საქართველოში ამომრჩეველთა საარჩევნო აქტივობის მაჩვენებლის დამოკიდებულება მუნიციპალიტეტში/საარჩევნო ოლქში მათ რაოდენობაზე არ არის ცალსახად წრფივი, მაგრამ მუნიციპალიტეტის ზომა დაახლოებით 50-60%-ით განსაზღვრავს საარჩევნო აქტივობას, რომელიც მეტია მცირე ზომის მუნიციპალიტეტებში.<sup>33</sup> დანართ #8-ში მოყვანილი დიაგრამა საქართველოში 2014 წელს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მაგალითზე აჩვენებს, როგორ კლებულობს ამომრჩეველთა აქტივობა მუნიციპალიტეტის ზომის ზრდასთან ერთად.

<sup>31</sup> დაეთი ლოსაბერიძე, პოლიტიკის ანალიზი, საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ანგარიში, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2012

<sup>32</sup> Paweł Swianiewicz, Public opinion about local government in Georgia, Prepared for the "Open Society - Georgia" Foundation, 2011

<sup>33</sup> ნოდარ კაპანიძე, „მუნიციპალიტეტის ზომისა და მოსახლეობის საარჩევნო აქტივობის ურთიერთდამოკიდებულება“, 2013

2006 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის პერიოდისთვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალოევრო მაჩვენებელი 5,530 მოსახლეს შეადგენდა<sup>34</sup>, ხოლო 2006 წელს საქართველოში თვითმმართველობების გამსხვილებით მიღებული მუნიციპალური ნარმონაქმნების საშუალო ზომამ 70,497 მცხოვრებს მიაღწია<sup>35</sup>. როგორც დანართ 9-ში მოყვანილ დიაგრამიდან ჩანს, ამჟამად საქართველოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საშუალო რაოდენობა (63,873 მცხოვრები) თითქმის 10-ჯერ აღემატება საშუალო ეკონომიკულ მაჩვენებელს (6,688 მცხოვრები), ხოლო ეკონომიკული ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ დიდ პრიტანეთს (სადაც მუნიციპალური მოწყობის განსხვავებული სისტემა). ეს განსხვავება ნათლად აჩვენებს, რომ ყველა სხვა ეკონომიკულ სახელმწიფოსთან შედარებით, საქართველოში ძალზე მსხვილი მუნიციპალიტეტებია, რაც ნარმოადგენს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ხელისშემშლელ ფაქტორს ქვეყანაში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და თვითმმართველობების მიერ მოსახლეობისათვის მინოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამდენად, ადმინისტრაციულ ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელებისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თვითმმართველი თემების ზომების შემცირება უნდა გახდეს, საშუალოევრო პული მაჩვენებლისკენ მათი მიახლოების მიზნით.

კვლევები აჩვენებს, რომ სოფლების მოსახლეობისათვის ძალზე აქტუალურია ადმინისტრაციულ ცენტრამდე საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის პრობლემა<sup>36</sup> მთლიანად საქართველოში სოფლების 51%-ს და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 78%-ს ამჟამინდელ მუნიციპალურ ცენტრებამდე ტრანსპორტზე კარგი ან საშუალო მისაწვდომობა აქვს. ცუდი მისაწვდომობა სოფლების 19%-ს ანუხებს და ამ სოფლებში მოსახლეობის 12% ცხოვრობს. სოფლების 30%-ში სადაც სოფლის მოსახლეობის 10% ცხოვრობს, არსებობს მუნიციპალურ ცენტრამდე ტრანსპორტზე სრული მიუნიციპალურ ცენტრამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფის პრობლემა ძირითადად პატარა სოფლების ხვედრია. საერთო ჯამში, საჭიროების თვალსაზრისით ადმინისტრაციულ ცენტრამდე ტრანსპორტზე მისაწვდომობის საჭიროება ყველა მუნიციპალიტეტს მეტ-ნაკლებად ანუხებს, ხოლო განსაკუთრებით მწვავედ, 59 მუნიციპალიტეტში არსებობს, რაც შეეხება აქტუალურობის თვალსაზრისით მუნიციპალურ ცენტრამდე ტრანსპორტზე მისაწვდომობის დონეს: მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ადმინისტრაციულ ცენტრამდე ტრანსპორტზე მისაწვდომობის საკითხი საერთოდ არაა აქტუალური 3 მუნიციპალიტეტში, ძალზე აქტუალურია 39 მუნიციპალიტეტში და მეტნაკლებად აქტუალურია 18 მუნიციპალიტეტში. ადმინისტრაციულ ცენტრამდე ტრანსპორტზე მისაწვდომობა ყველაზე აქტუალურია 10 მუნიციპალიტეტშის მოსახლეობისათვის, ესენია: ნინონმინდა, ყაზბეგი, ცაგერი, დუშეთი, ონი, დმანისი, თიანეთი, ახმეტა, აღიგენი და თერინყარი (დანართი 4). მასშტაბის თვალსაზრისით, ადმინისტრაციულ ცენტრებამდე ტრანსპორტზე მისაწვდომობის საკითხი ეროვნული მასშტაბისაა, ხოლო აქტუალურობის თვალსაზრისით უდიდესი მინშვნელობის მქონე საკითხია, და ამ მიმართულებით სახელმწიფოს აქტიური ჩარევა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მუნიციპალური ცენტრების გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის გაზრდა და, შედეგად, ადმინისტრაციულ ორგანოებში მიმართვისათვის მოსახლეობის მიერ მგზავრობაზე განეული ფინანსური დანახარჯების შემცირება უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ამოცანა.

### 2.3.8. სრბანელი აბლობერაციები

საქართველოში, დასახლებათა აგლომერირების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ურბანისტებმა დაადგინეს, რომ თბილისის გარშემო ყალიბდება ურბანული აგლომერაცია,<sup>37,38</sup> რაც განაპირობა თბილისის ქვაბულის ხელსაყრელმა მდებარეობამ.<sup>39</sup> უკვე იმ პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე პრინციპული დებულება:

- თბილისის აგლომერაცია ქალაქების - მცხეთის, თბილისის, რუსთავის, გარდაბნის შემადგენლობით ვითარდება მდ. მტკერის გაყიდვებით, ე.ნ. თბილისის ქვიბულის გასწვრივ, რომელიც მდებარეობს საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-კულტურული პროვინციის (მხარის) შესაყარზე;
- აგლომერაციის ქალაქ-ცენტრს წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქი - თბილისი;

<sup>34</sup> Average demographic size of the municipalities in the EU-27, in: Dexia, EU sub-national governments, 2009/2010 edition

<sup>35</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტზე, 2013

<sup>36</sup> ნაპარაძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კუნიტურული მდგრადირეობა რეგიონულ ჭრილში, ძირითადი ტენდენციები და შემდგომი განვითარების პრესტიულიფენტი, UNDP, 2015

<sup>37</sup> Научно-технический Отчет по теме: «Региональная схема расселения на территории Грузинской ССР. Раздел – Развитие Тбилисской агломерации». Тбилиси, ТбилиСНИИЭП, 1978.

<sup>38</sup> Региональная схема расселения на территории Грузинской ССР на период до 1991-2001 гг. Тбилиси, Грузипрогорстрой, 1979

<sup>39</sup> Вардосанидзе В.Г., Дзидигури Г.И. Некоторые вопросы формирования Тбилисской Групповой Системы Населенных Мест. В сб.: «Труды Грузинского Политехнического Института им. В.И.Ленина. №3 (235)». Тбилиси, 1981

- აგლომერაციის ბირთვი ხაზოვანი კონფიგურაციისაა: მცხეთა-თბილისი-რუსთავი-გარდაბანი;
- აგლომერაციული ფუნქციური კავშირები მოიცავს თბილისის გარშემო დასახლებათა ჯგუფური სისტემის არეალს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის აგლომერაციისა და დედაქალაქის ოლქის პრობლემატიკაში სათანადო ადგილი დაიყეა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში 2003 წელს შედგენილ „თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებულ კონცეფციაში“<sup>40</sup> კონცეფციაში მინიშნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისის განვითარებას აგლომერაციულ სივრცეში. ხაზგასმულია, რომ თბილისის აგლომერაციის ურბანული განვითარების თანამედროვე მდგომარეობა გვაძლევს სამუალებას კონცეფციაში გამოყენოთ აგლომერაციის ტერიტორიის ორი გეგმარებითი სივრცე; აგლომერაციის ურბანული ტერიტორია და აგლომერაციის არეალი.

2013 წლიდან დაწყებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მსვლელობაშიც კვლავ განიხილება თბილისის აგლომერაციისა და დედაქალაქის ოლქის საკითხი.<sup>41,42</sup>

პოლიტიკური ნების, კონცეპტუალური გააზრებისა და გეგმარებითი ხელშეწყობის არარსებობის პირობებიც კი, აგლომერაციული კაუშირები ემპირიულად ყალიბდება. ეს კარგად ჩანს, თუნდაც, რუსთავ-თბილისის სამგზავრო ტაქსების მარშრუტების კონფიგურაციაში. დღეს რუსთავის სამარშრუტო ტაქსებს არა მარტო ჩამოყავს მგზავრები დედაქალაქის გარეულულ ტერმინალში, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მათი მარშრუტები გამჭოლად აღნევს თბილისის თითქმის ყველა გარეუბანს - რუსთავისგან მაქსიმალურად მოცილებულბაც კი - გლდანს, ბაგებს და სხვას, რომ არაფერი ვთქვათ საბურთალოსა და დიდუბეზე. ამ ტენდენციას ეიდევ უფრო შეუწყობს ხელს რუსთავ-თბილისის ჩქაროსნული სავტომობილო მაგისტრალი, რომელიც რუსთაველებისათვის თბილისის 15 წუთიან მისაწვდომობას უზრუნველყოფს.

აგლომერირების ეიდევ ერთი წარმატებული მაგალითი და ფაქტორია რუსთავის საავტომობილო ცენტრი, რომელიც კომერციულ, ადმინისტრაციულ და სპორტულ ფუნქციებს ითავსებს და არამარტო აგლომერაციული, არამედ ნაციონალური და რეგიონული რანგის ობიექტების კლასტერს წარმოადგენს. დღის წესრიგშია რუსთავ-გარდაბანის შორის არსებულ ტერიტორიაზე მეოთხე თაობის ლოგისტიკური ცენტრის ფორმირების საქართველოსთვის მეტად ხელსაყრელი ურბანისტული იდეა.

აგლომერირების პროცესის ბუნებრივი შეუქცევადობის გამო, ის ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის გააზრებისას აუცილებლად საჭიროებს გათვალისწინებას და მართვის სისტემის ოპტიმიზაციას, რამდენადაც მასში შემავალი დასახლებები ამჟამად ოთხ ცალკეული მუნიციპალიტეტში (ქ. მცხეთა, ქ. თბილისი, ქ. რუსთავი და გარდაბანი) არის მოქცეული, რომელთაც საერთო პრობლემატიკის (ტრანსპორტი, ეკოლოგია, დასაქმება, ეკონომიკური განვითარება და სხვ.) გადასაწყვეტად რაიმე ერთობლივი, ინტერმუნიციპალური ინსტრუმენტები არ გააჩინათ.

<sup>40</sup> თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებული კონცეფცია. შემდგენელი - პ. მიძიგური. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, 2003 (ხელნაწერი).

<sup>41</sup> საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში, დედაქალაქის - თბილისის პირველადი თვითმმართველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების - მუნიციპალიტეტების გამოყოფის ნინაღადება. თბილისი, თვითმმართველობის რეფორმის მრჩეველთა საბჭოს სამდგრავო. 2013 (ხელნაწერი).

<sup>42</sup> აქევ აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის 89 დადგენილებით, საქართველოს სიცოცხლის მოწყობის გენერალური სქემის - „საქართველო 2030“ - შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამთავრობო კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა „მიზეული ინტერესთა გამოხატვაზე“, რომელიც დაინტერესებულ მსარებებს იწვევს გამოხატვა „სქემის“ შემუშავებისათვის საჭირო საერთო მომსახურების განხორციელების ინტერესი და წარმოადგინონ შესაბამისი ნინაღადებები.

### 3.3. პლიტიკის მიზანი და ალტერნატივების შეფასების პრიცერიუმი

არსებული პრობლემების ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარებისთვის გადაუდებლად გადასაჭრელი ამოცანებია:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან, ხშირ შემთხვევაში, თავიდან აშენება, განსაკუთრებით, სოფლებში;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება არა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებების, არამედ პერსპექტივების გათვალისწინებით;
- ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამუშაო ადგილების შექმნა რურალურ მუნიციპალიტეტებში;
- ურბანული აგლომერაციების მართვის სისტემის ოპტიმიზება.

ამ ამოცანების შესრულება კომპლექსურ მიღებომას მოითხოვს, რისთვისაც სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული მცირე და საშუალო ურბანული ტიპის დასახლებების - დაბებისა და ქალაქებისა განვითარების, მათში საჯარო მომსახურების დონის ამაღლებისა და სანარმოების შექმნის ხელშეწყობისაკენ, რაც ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების პირობებსა და კეთილმოწყობილ საარსებო გარემოს შექმნის, ნინაალმდევ შემთხვევაში ქვეყანა უახლოეს მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის საფრთხისის ნინაშე.

სახელმწიფომი ადგილობრივი თვითმმართველობის დამკეიდრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა არის სახელისუფლებო უფლებამოსილებების განხორციელების დაახლოება ინდივიდთან და, როგორც შედეგი, ადგილობრივი ინიციატივის ორგანული შერწყმა საჯარო ინტერესებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა სრულყოფილად მონაწილეობა მხოლოდ მოსახლეობის არჩევნებში აქტივობით შეუძლებელია და ძალზე აქტუალურია მუშიციპალური ორგანოების მუშაობაში, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ინტენსიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საპტოთა სისტემის არქაიზმისა და დისპროპორციის შენარჩუნება ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების არარაციონალური ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძველია. ამიტომ საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ისეთი ტერიტორიული საფუძვლის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მუნიციპალური ორგანოების მიერ მოსახლეობისათვის გასაწევი ადმინისტრაციული და სოციალური სერვისების მისაწერისა და ხარისხს, ასევე გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობის. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძველის განსაზღვრისას ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მისი ადმინისტრაციული ცენტრის მაქსიმალური გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწევობობა და თვითმმართველობის ეკონომიკური სტაბილურობისათვის საკმარისი ისეთი ოპტიმალური ზომა (მოსახლეობის რაოდენობის ფარგლები), რომელიც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას უზყობს ხელს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში იზრდება ისეთი რესურსის გამოყენების შესაძლებლობა, როგორიც განსახორციელებელ თემის მოხალისეობრივი ჩართულობის პოტენციალია.

სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მუნიციპალური რეფორმის შედეგად ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა რეგიონის იპტიმალურ ურბანიზაციას, დიდი და მცირე ქალაქების მდგრად განვითარებას, ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის ცხოვრების დონეში, საყოფაცხოვრებო პირობებსა და საჯარო მომსახურების მინიჭებაში სხვაობის შემცირებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელების შეფასებისას უნდა გამოყენებულ იქნას შემდეგი შეფასების კრიტერიუმები:

1. მოსახლეობისათვის სათემო მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწევდომობის გაუმჯობესება და მასში განთავსებული სოცილური და საჯარო ინფრასტრუქტურის ოპიკეტებთან მუშიციპალიტეტის სხვა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შეუფერისებელი წვდომის შესაძლებლობის გაზრდა.

2. იმ დასახლებების განვითარების ხელშეწყობა სათემო მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც გააჩინათ ურბანული განვითარების პოტენციალი (ადმინისტრაციული მომსახურების სერვისების განთავსება და

მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება ქალაქნარმომქმნელი საფუძვლის დივერსიულიცის მეშვეობით)

3. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა ისეთ ფარგლებში, რომ ხელი შეეწყობს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, ამასთანავე, შენარჩუნებულ იქნას განვითარებისათვის საქმარისი დემოგრაფიული სიმძლავრე<sup>43</sup>.

4. ურბანიზაციის არსებული ტენდენციების გათვალისწინება და აგლომერაციებში შემავალი ქალაქების საერთო პრობლემატიკის ეფექტური მართვის ინსტრუმენტების შექმნა.

5. მომსახურების ცალკეულ სახეობთა მიხედვით საფეხურებრივი პრინციპით თვითმმართველობისთვის გადაცემის შესაძლებლობა - ამ ეტაპზე საკუთარი უფლებამოსილების მთელი სპექტრის განხორციელების შეუძლებლობა არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი თვითმმართველობის დანერგვაში. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დროებით შეავსოს ფუნქციათა ნაწილი („კონტრდელეგირება”), ამ ფუნქციების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში განსახორციელებელია დროში განერილი, ფინანსური და საკადრო უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით.

## 4.1 სტრატეგიული და მათი ანალიზი

### 4.1.1 თვითმმართველი ქალაქები

საქართველოს მუნიციპალური მოწყობის მოდელი არსებით ცეილებზე საჭიროებს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად უნდა გაიზარდოს თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, რაც საჭიროა როგორც ურბანული განვითარების ნახალისების, ასევე მოსახლეობისთვის ხარისხიანი საჯარო სერვისების მინიდების მიზნით.

ქალაქების ნორმალური განვითარების, მოსახლეობის მიერ ადეკვატური სერვისების მიღებისა და თვითმმართველობაში მოქალაქეთა მეტი მონაწილეობისთვის ქალაქებს საკუთარი მერი, საკრებულო, შესაბამისი საქალაქო სამსახურები სტირდება. თვითმმართველი ქალაქების ხელისუფლება შეძლებს მეტი ყურადღება მიაქციოს ქალაქებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი საჯარო პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაშია, მაგრამ არსებული, მეტნილად სასოფლო მუნიციპალიტეტებისთვის არ ნარმოადგენს პრიორიტეტებს და, შესაბამისად, იშვიათად ხვდება ადგილობრივი საკრებულოებისა და პოლიტიკოსების დღის წესრიგში. თვითმმართველი ქალაქის მართვის ორგანოები კონცენტრირებული იქნებიან საკუთარი პრობლემების მოგვარებაზე და თავის ბიუჯეტს მიმართავენ იმ მიმართულებით, რომელიც მინიჭებულვანია ურბანული ზრდისა და ქალაქის სპეციფიური პრობლემების გადასაწყვეტად.

თვითმმართველი ქალაქების გამოყოფით იმავდროულად, გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და ეონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობაზე, რაც საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტური ხარჯების გარანტია იქნება. 2013 წელს 7 ახალი თვითმმართველი ქალაქის გამოყოფის შედეგების შესაფასებლად ჯერ მცირე დროა გასული, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ დაგევმილი საბიუჯეტო ხარჯების მიზანმიმართულობა ურბანული და რურალური პრობლემატიკის გადაწყვეტის თვალსაზრისით შესამჩნევად გაიზარდა.

გარდა დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციისა, საქალაქო თვითმმართველობის გავრცელებას საქართველოში გვერდითი ეკონომიკური ეფექტებიც ექნება. მან ქალაქების ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქალაქებში სამუშაო ადგილების გაჩენას უნდა შეუწყოს ხელი, რამაც არსებული დასასაქმების სტრუქტურა მომსახურებისა და მრეწველობის სასარგებლობების უნდა შეცვალოს. საშუალო და მცირე ქალაქები ახლომდებარეტერიტორიების ურბანული განვითარებისა და ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრებად გადაიქცევიან.

ამდენად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის პირველი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს თვითმმართველი ქალაქების რიცხვის ზრდა. ამ მიმართულებისათვის მყარი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად აუცილებელია თვითმმართველი ქალაქის კრიტერიუმების, ძირითადად კი - რაოდენობრივი, დემოგრაფიული კრიტერიუმის დაფიქსირება თვითმმართველობის კოდექსისთვის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

<sup>43</sup> „3,000 is the baseline population level to ensure sufficient demographic capacity for strong municipalities“- Wm. (Bill) Ashton, Ray Bollman, Wayne Kelly, INDICATORS AND CRITERIA FOR STRONG RURAL MUNICIPALITIES IN MANITOBA, Rural Development Institute, Brandon University, April 25, 2013

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკანონმდებლო ან ტრადიციულ პრაქტიკაში ურბანული ტიპის დასახლების-თვის ქალაქის სტატუსისა და თვითმმართველობის უფლების მინიჭება დემოგრაფიული კრიტერიუმით - მისი მოსახლეობის რაოდენობით ხდება. ეს მაჩვენებელისხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია: 4,000-ს (აშშ, ვაიომინგის შტატი), 5,000 (კანადა, ბრიტანეთის კოლუმბია და სასკაჩვანი), 10,000-ს (აშშ, ვაშინგტონის და ვირჯინის შტატები; შვეიცარია; ხორვატია; ესპანეთი; საბერძნეთი; უკრაინა), 12,000 (რუსეთი), 15,000 (კანადა, ონტარიო), 20,000 (ავსტრია; სლოვენია). საქართველოს დემოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე, საქალაქო მუნიციპალიტეტების (თვითმმართველი ქალაქების) მცხოვრებთა მინიმალური რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს 15,000 მცხოვრებით, როგორც ეს იყო განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 31 ოქტომბერს მონონებულ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ კანონპროცექტში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ამ რაოდენობაზე მცირე რაოდენობის მოსახლეობის მქონე ზოგიერთი ქალაქისათვის თვითმმართველის სტატუსის მინიჭება მოხდეს პარლამენტის დადგენილებით, შესაბამისი დასაბუთების შემდეგ<sup>44</sup>.

უფრო მაღალი მინიმალური ზღვარის ოდენობა (20,000/25,000) მიზანშეუნონელია იმ მოსაზრების გამო, რომ ასეთ შემთხვევაში მკეთრად იზრდება დისპროპორცია თვითმმართველი ქალაქისა და თვითმმართველი თემის მცხოვრებთა საარჩევნო ხმის „ნონაში“ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას, რამდენადაც ქვეყნის გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში საჯარო სერვისების უზრუნველყოფაზე მიზანშეუნილია გაცილებით მცირე (5,000 ან ნაკლებიც კი) მოსახლეობის მქონე მუნიციპალიტეტების შექმნა, განსაკუთრებით - მთიან რეგიონებში, ქედებითა და ხეობებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული თემების არეალებში, მაგ., ისტორიული ხევში - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი 4,900 მცხოვრებით, ზემო რაჭაში - რისის მუნიციპალიტეტი 8,100 მცხოვრებით, ქვემო სვანეთში - ლენტეხის მუნიციპალიტეტი 8,900 მცხოვრებით და მისთ. თვალშისაცემი უსამართლობა იქნება სოფლებისა და მცირე ურბანული დასახლებებისგან შემდგარი თემების რამდენიმე ათასის მცხოვრებისათვის თვითმმართველი ერთეულის შექმნის უფლების მინიჭებასა და ქალაქის მოსახლეობის იგივე უფლებისათვის 4 - 5 ჯერ უფრო მაღალი ზღვარის დაწესებაში.

კანონმდებლობით უფრო დაბალი მინიმალური ზღვარის დანესხბა (მაგ., 10,000 ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებისთვის) თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭება, მათი ეკონომიკის განუვითარებლობის ფონზე, შეიცავს გარეულ რისკს, რომ გარშემომყოფი ტერიტორიებისთვის ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციის დაკარგვით შესაძლოა მათი განვითარება შეფერხდეს, რამდენადაც მათი უმრავლესობისათვის (გარდა ქ.ტყიბულისა და ქ.ბორჯომისა) ქალაქისარმომქმნელ ფაქტორს ამჟამად მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქცია ნარმოდდება, და ასეთ მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტების თვითმმართლის მიღწევა ფისკალური დეცენტრალიზაციის პროცესში ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოების შემთხვევაშიც კი საეჭვოა.

15,000-ზე მეტი მოსახლის მქონე ქალაქების ცალკე მუნიციპალიტეტებად გამოყოფა ასეთ რისკებს არ შეიცავს, რამდენადაც მათ, გარდა ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციისა, სხვა ქალაქისარმომქმნელი ფაქტორებიც გაჩინია:

ქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ქალაქისარმომქმნელი ფაქტორები
ქ.სამტრედია	30,213	ადმინისტრაციული ცენტრი, სატრანსპორტო (სარკინიგზო და სავტომობილო) კვანძი
ქ.ხაშური	30,026	ადმინისტრაციული ცენტრი, სატრანსპორტო (სარკინიგზო და სავტომობილო) კვანძი
ქ.მარნეული	28,000	ადმინისტრაციული ცენტრი, სატრანსპორტო (სარკინიგზო და საავტომობილო) კვანძი, გადამამუშავებელი მრეწველობა, რეგიონული საეჭვო ცენტრი
ქ.სენაკი	26,921	ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, სატრანსპორტო კვანძი

<sup>44</sup> მ.აბულაძე, მუნიციპალური მოწყობისა და დასახლებული პუნქტების ეატერიტებად დაყოფის ერთეულის მიზანით ამერიკა, ეკონომიკა და დასტაციულ შემთხვევების კანონმდებლობაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებრივ მიწინეულობა სამქობლისა და მასალების, 2013

ქალაქი	მოსახლეობის რაოდენობა	ქალაქნარმომქმნელი ფაქტორები
ქ.ზესტაფონი	26,600	ადმინისტრაციული ცენტრი, სატრანსპორტო (სარკინიგზო და საავტომობილო) კვანძი, მძიმე მრეწველობა (ფერმენადნობი ქარხანა)
ქ.ჭიათურა	19,650	ადმინისტრაციული ცენტრი, სატრანსპორტო (სარკინიგზო და საავტომობილო) კვანძი, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა
ქ.ქობულეთი	17,412	ადმინისტრაციული ცენტრი, ზღვისპირა კურორტი
ქ.ნიუალტუბო	16,528	ადმინისტრაციული ცენტრი, ბალნეოლოგიური კურორტი
ქ.კასპი	16,201	ადმინისტრაციული ცენტრი, მრეწველობა (ცემენტის ნარმოება)
ქ.გარდაბანი	15,477	ადმინისტრაციული ცენტრი, ენერგეტიკა (თბილეულეტროსადგური)

თეოთმმართველი ქალაქების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების კანონმდებლობაში ასახვა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ალტერნატიული გზით:

#### ალტერნატივა 1.

ქვეყნის ყველა დასახლებას, რომელსაც ქალაქი ენოდება, გააჩინდეს საკუთარი თეოთმმართველობა, ევროპის ქვეყნების ტრადიციების ანალოგიურად, სადაც ქალაქის წოდების მინიჭება შეუძლია საუკუნეების დროიდან ხისხავდა მისთვის თეოთმმართველობის უფლების მინიჭებას (Stadtrecht გერმანიაში და სამეფოს თავისუფალი ქალაქის Royal free city სტატუსი აესტრია-უნგრეთში). შესაბამისად, „ადგილობრივი თეოთმმართველობის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტიდან მე-4 მუხლის 1.გ) პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 3.2. თეოთმმართველი ქალაქი არის თეოთმმართველი ერთეული, რომელსაც მუნიციპალიტეტის სტატუსი გააჩინია ან ენიჭება ამ კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობებით დასახლებისთვის ქალაქის კატეგორიის მინიჭებისას“.

მუხლი 4.1.გ) ქალაქი - დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 15,000 რეგისტრირებულ მოსახლეზე მეტია და რომლის ტერიტორიაზეც არსებობს სამრეწველო სანარმოები, ტურისტული, სამკურნალო, სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. 15,000-ზე ნაკლები მოსახლეობის მქონე დასახლებას ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს ამ კოდექსით ან საქართველოს პარლამენტის დადგენილებით“.

ამ ალტერნატივას აქვს ორი მინიშვნელოვანი ნაკლი:

1. საჭირო გახდება რიგი დასახლებების ქალაქის კატეგორიიდან დაბის კატეგორიაში გადაყვანა, რაც გაუგებრიბებსა და მოსახლეობის უმაყოფილებას გამოიწვევს.
2. ქალაქის წოდებისა და თეოთმმართველი ქალაქის ცნების გაიგივებამ შესაძლოა პრობლემები წარმოქმნას ისეთ შემთხვევებში, როცა თეოთმმართველის სტატუსის მქონე ქალაქური დასახლება აღარ დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგ., შეიძლება რომელიმე ნებს ის რამდენადმე დაიცალოს მოსახლეობისგან - ქალაქს ავტომატურად მოეხსნება თეოთმმართველის სტატუსი და მოხდება მისი ინკორპორირება მეზობელ თეოთმმართველ თემში, მეორე ნებში კი მოსახლეობის რაოდენობამ იმატოს და კვლავ გახდეს მისი თეოთმმართველად გამოყოფის აუცილებლობა.

## ალტერნატივა 2.

„აღგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომლის მოსახლეობამ გადააჭარბა 15,000 მოსახლეს და მინიჭებული აქცეს მუნიციპალიტეტის სტატუსი. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მუნიციპალიტეტის სტატუსი შეიძლება მიერიქოს აგრეთვე იმ ქალაქს, რომლის რეგისტრირებული მოსახლეობა 15,000 მცხოვრებზე ნაკლებია“.

კოდექსის მე-4 მუხლში ქალაქის განსაზღვრების იმავე ფორმით დატოვების შემთხვევაში ჩვენ მიეღიღებთ აშშ-ს ზოგიერთ შტატის (ვაშინგტონი, ვირჯინია) ანალოგიურ სიტუაციას, სადაც ე.ნ. „პირველი ელასის“ ქალაქები თვითმმართველია, ხოლო კანონით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები მოსახლეობის „მეორე ელასის“ ქალაქები იმკორპორირებულია მუნიციპალიტეტებში. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში 15,000-მდე მოსახლეობის მქონე ქალაქები ინკორპორირებული იქნება თვითმმართველ თემებში, თუ მათ სპეციალურ საკანონმდებლო აქტით არ ექნებათ მინიჭებული მუნიციპალიტეტის სტატუსი (ასეთები შეიძლება იყოს, მაგ., მცხეთა, ამბროლაური, სიღნაღი და სხვ.)

ამ აღტერნატივის შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იქნება ზოგადად მუნიციპალიტეტისათვის ან მხოლოდ თვითმმართველი ქალაქებისათვის რეგისტრირებული მოსახლეობის მინიმალური ზღვარის დაწესება, რამდენადაც შესაძლოა შეიქმნას კოლიზია ისეთ შემთხვევებში, როცა მუნიციპალიტეტის სტატუსის მინიჭების შემდეგ თვითმმართველი ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება და მნიშვნელოვნად ჩამოსცდება 15,000-ს.

რამდენადაც მოსახლეობის რიცხოვნობა დასახლებაში დინამიკური მაჩვენებელია, ის შეიძლება მერყეობდეს როგორც კონკრეტული ქალაქის, ისე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მეორეობაზე დამკიდებულებით, შესაძლებელია და უფრო უპრიანი კანონით დროის გარევეული ინტერვალის დადგენა, რომლის განმავლობაშიც მოსახლეობის რაოდენობა ნაკლებია თვითმმართველი ქალაქისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმზე, ხოლო მოსახლეობის კანონით დადგენილი მინიმალური რიცხოვნობა შეიძლება იყოს იგივე 15,000, ან ნაკლები.

მაგალითად, „თვითმმართველ ქალაქს გაუქმდება მუნიციპალიტეტის სტატუსი (მოხდება მუნიციპალიტეტის გაუქმება კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად) და ის ინკორპორირდება მეზობელ თვითმმართველ თემში, თუ მისი რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა ბოლო აღწერამდე ზედიზედ ნ კალენდარული წლის განმავლობაში კანონით დადგენილზე ნაკლებია“.

ამ შემთხვევაშიც გაუგებრობებისა და მოსახლეობის უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად მუნიციპალიტეტის სტატუსის ჩამორთმევისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარი მიზანშეწონილია, იყოს იშველაზე მცირე ქალაქის მოსახლეობის თანაზომადი, რომელსაც მუნიციპალიტეტის სტატუსი პარლამენტის მიერ განსხვავებული წესით (კანონის ან დადგენილების საფუძველზე) აქცეს მინიჭებული, ანუ, დღეს არსებულ სიტუაციაში, ქ.ამბროლაურის მოსახლეობის ოდენობიდან გამომდინარე, ის 2,500 რეგისტრირებული მოსახლით უნდა განისაზღვროს.

## 4.2. თვითმმართველი თამაზის ტარიფორმული რაციონალი

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-3 მუხლით საქართველოში არსებული თვითმმართველი ერთეულების - მუნიციპალიტეტების ორი ტიპია განსაზღვრული: თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი თემები. კოდექსის თანახმად, თვითმმართველი თემი ენოდება რამდენიმე დასახლების ერთობლიობას, რომელსაც მუნიციპალიტეტის სტატუსი აქვს მინიჭებული. რაიმე რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ერიტერიუმები როგორც ქალაქების, ისე თვითმმართველი თემებისთვის მუნიციპალიტეტის სტატუსის მისანიჭებლად, კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

რამდენადაც თვითმმართველი თემი რამდენიმე დასახლების ერთობლიობაა, ქალაქისგან განსხვავებით, ის ტერიტორიულადაა განფენილი და მასში შემავალ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა გარკვეული მანძილითაა დაცილებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს. თემის ამ თავისებურების გათვალისწინებით, მისი შექმნის/გაუქმების საეითხისთვის მხოლოდ დემოგრაფიული ერთად, აუცილებელი ხდება გეოგრაფიულ ერიტერიუმის (დასახლებული პუნქტების დაშორება ადმინისტრაციული ცენტრიდან) გათვალისწინებაც. თემში შემავალი დასახლებების მოსახლეობისათვის ადმინისტრაციული ცენტრის სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც უშუალოდ მოქმედებს მოქალაქეთათვის საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხსა და ღირებულებაზე. რაც უფრო დაშორებულია დასახლებული პუნქტი ადმინისტრაციულ ცენტრს, მით უფრო იზრდება როგორც ცალკეული საჯარო სერვისების მიღებისთვის მოქალაქეთა დროს და ფინანსური დანახარჯები, ასევე მუნიციპალიტეტის ხარჯები ზოგიერთი სერვისის მოსახლეობისათვის მიწოდებაზე.

ბ) არსებობს დამოედებულება დასახლების ზომასა და ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ინტერესს შორის: მცირე ქალაქებსა და სოფელებში ის მეტია, ეიდრე დიდ ქალაქებში და საარჩევნო აქტივობა დამოედებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ზომაზე.<sup>45</sup> დანართ 8-ში მოყვანილ დიაგრამაზე ეს ნაჩვენებია ეს საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არცევნების მაგალითზე.

ამდენად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის შედეგად მუნიციპალიტეტის ზომების (მოსახლეობის რაოდენობის) შემცირება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საარჩევნო აქტივობის, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის გაზრდას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ორი ერიტერიუმი გადამწყვეტი უნდა იყოს თვითმმართველი თემების ოპტიმიზაციის მოდელების შესაფასებლად.

### ალტირაცია 1. თვითმმართველი კალაპის და ერთი თვითმმართველი თამაზის შეახვა

მოდელი გულისხმობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შემოფარგლუას 15,000-ზე მეტი მცხოვრების მქონე 10 ახალი თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიის მოსაზღვრის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე თითო თვითმმართველი ერთეული შექმნით, რომელთა ადმინისტრაციული ცენტრი იგივე დარჩება და მათი მმართველი ორგანოები კვლავ თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე განთავსდება. აღნიშნული პრაქტიკის მაგალითები არსებობდა XX საუკუნეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური მმართველობის პერიოდში, როდესაც ერთსა და იმავე დასახლებაში (ქალაქში) იქმნებოდა საქალაქო და სასოფლო რაიონის მმართველი ორგანოები (ქალაქეომები და რაიონმები, საქალაქო და რაიონული საბჭოები თავისი ძლიშისკომებით). ასეთი მოდელით მოხდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრების განხორციელება 2014 წლის გაზაფხულზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 151-ე მუხლის საფუძველზე შეიქმნის შესახებ<sup>46</sup> მოხდა 7 მუნიციპალიტეტის ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად შეიქმნა 14 ახალი მუნიციპალიტეტი, მათგან 7 - ახალი თვითმმართველი ქალაქი, ხოლო დანარჩენი ტერიტორიის დასახლებული პუნქტებისგან შედგა თვითმმართველი თემები, რომელთა ადმინისტრაციული ცენტრები თვითმმართველ ქალაქებში აღმოჩნდა.

<sup>45</sup> Paweł Swianiewicz, Public opinion about local government in Georgia, Prepared for the "Open Society - Georgia" Foundation, 2011

ამ მოდელით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შემდგომში განხორციელების ძლიერი მხარეებია:

1. თვითმმართველ ქალაქები ჩამოყალიბების შემდეგ ქალაქის საკრებულოს შემადგენლობა მხოლოდ ურბანული უბნების, ხოლო თემებისა - მხოლოდ სასოფლო დასახლების ნარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, მათ ამომრჩეველთა ინტერესების ერთგვაროვნება გამორიცხავს ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას კონფლიქტს სასოფლო და ქალაქური პრობლემატიკის კუთხით. შესაბამისად, ბიუჯეტების პრიორიტეტების გამოკვეთისას ჩნდება ურბანული და რურალური პრობლემატიკის სპეციფიკის ადექტური გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც პრობლემურია იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც ერთადაა გაერთიანებული დიდი ქალაქები და სოფლები.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას არ ექმნება პრობლემები სიახლეებთან შეგუების თვალსაზრისით და, საჭიროებისას, კვლავ ტრადიციულ ადგილას მდებარე მმართველ ორგანოებს მიმართავს. ოპტიმიზაციის შემდეგ თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციას უწევს გაცილებით ნაკლებ მცხოვრებლან ურთიერთობა, შედეგად, მნიშვნელოვნად უმჯობესდება მოსახლეობასთან კომუნიკაციის ხარისხი და იზრდება ადგილობრივ მოხელეებზე საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების არაფორმალური მექანიზმების გავლენა. თვითმმართველი თემების მოსახლეობისათვის ეს ფაქტორი საგრძნობი არ არის.

3. ახალ მუნიციპალიტეტებში საკადრო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტის სიმარტივე: ძველ მუნიციპალიტეტში სპეციალისტები, ძირითადად, გადანანილდებიან იმავე დასახლებულ პუნქტში (ქალაქში) განთავსებული მუნიციპალური ორგანოების ადმინისტრაციულ პარეტებს შორის.

4. ბიუჯეტებისა და მუნიციპალური ქონების გაყოფის შედარებითი სიმარტივე, შესაბამისი გამოცდილებისა და საკანონმდებლო ბაზის არსებობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №363 30.05.2014 "მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანანილების ნესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის დადგენილება №384 11.06.2014 "საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედეგის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანანილების დროებითი ნესის დამტკიცების შესახებ").

ამ მოდელით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შემდგომში განხორციელების სუსტი მხარეებია:

1. არ უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრთან გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, არ იზოდება როგორც მოსახლეობის ადმინისტრაციულ ცენტრში მისასვლელად საჭირო ფინანსები, ასევე თავად პარატის საოპერაციო ხარჯები.

2. არ ეძლევა სტიმული ახალი მცირე და საშუალო ურბანული დასახლებების განვითარების პროცესს, შესაბამისად, ცვლილებები არ ახდენს ზემოქმედებას რურალურ ტერიტორიებზე დასაქმების პერსპექტივების გაჩენაზე, სოფლიდან დიდი ქალაქებისაკენ მიგრაციისა და უცხოეთში სამუშაო ძალის გადინების პროცესების შეკვებაზე.

3. თვითმმართველი თემის მოსახლეობაში ჩნდება ნეგატიური განწყობები, რომ მათთვის მიმდინარე რეფორმის შედეგად პრაქტიკულად არაფერი შეიცვალა, პირიქით, მოხდა სეგრევაცია „ქალაქელებად“ და „სოფლელებად“.

4. ოპტიმიზაციის შემდეგ თვითმმართველი თემების მოსახლეობისათვის საგრძნობი არ არის მუნიციპალური ორგანოების მოსახლეობასთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების მიღებაში სხვადასხვა მექანიზმებით მოქალაქეთა მონანილეობის შესაძლებლობის ზრდა.

5. თვითმმართველ თემების საბიუჯეტო პრიორიტეტების გამოკვეთისას კვლავ პრობლემად ჩჩება ადგილობრივი გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით საზოგადოების ინტერესებზე უფრო მეტად ორიენტირებული ბიუჯეტების ფორმირების შესაძლებლობა დიდ თვითმმართველ თემებში, მაგ., გორის მუნიციპალიტეტში ატენის ხეობის ტურისტული განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინება კერძოდ მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში სამელიორაციო და სასმელი წყლის პრობლემების გადატრისაუცილებლობის გამო, ასეთივე სურათია მცხეთის მუნიციპალიტეტში საგურამოს მხარის დასახლებებისა და თელავის მუნიციპალიტეტში - ნაფარეულის მხარის დასახლებების განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინების თვალსაზრისით.

6. ერთი თვითმმართველი ერთეულის მმართველი ორგანოების სხვა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებობის მიზანშეუწონილობა. მაგ., იზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოებში თვლიან, რომ ისინი ტერიტორიულად იქ უნდა იყვნენ განთავსებული, სადაც მათი ამომრჩეველია, ანუ რურალურ დასახლებებში, რომ ადმინისტრაციასა და მოსახლეობას შორის სიახლოეე თვალსაზრისიყოს.

## ალტერნატივა 2. მსხვილი მუნიციპალიტეტის დაყოფა

ეს მოდელი გულისხმობს რამდენიმე თეოტიმიართველი ერთეულის შექმნას როგორც ახალი თეოტიმიართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე, ასევე დიდი თეოტიმიართველი თემების ნაცვლად, სადაც არსებობს რამდენიმე ურბანული განვითარების ცენტრის პოტენციალის მქონე დასახლების პერსპექტივა და როგორლა ამჟამინდელი ადმინისტრაციული ცენტრების გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისანერობობა დაბალია, მაგ., კოეფიციენტი 0,3-ზე ნაკლებია, ნინასნარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. დანართი 5 - „მოდელირების ეტაპები“).

ამ მოდელის ძლიერი მხარეებია:

1. ადგილობრივი გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით საზოგადოების ინტერესებზე უფრო მეტად ორიენტირებული ბიუჯეტების მქონე თეოტიმიართველი ერთეულების შექმნა;

2. მუნიციპალიტეტის ახალ ადმინისტრაციული ცენტრებთან გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწერდომობის გაზრდა, რაც დაზოგავს როგორც მოსახლეობის ადმინისტრაციაში მისასელელად საჭირო ფინანსებს, ასევე თავად აპარატის საოპერაციო ხარჯებს

3. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება: მოსახლეობასთან მუნიციპალური ორგანოების კომუნიკაციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ადგილობრივ მოხელეებზე საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების არაფორმალური მექანიზმების გავლენის გაზრდა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის შესაძლებლობებისა და აქტივობის ზრდა.

4. ახალი ადმინისტრაციული ცენტრების ურბანული განვითარების პროცესის სტიმულირება. ქვეყნის მასშტაბით ამ მოდელით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელების შემდეგ საქართველოს განვითარების ვექტორი შეიცვლება რეგიონებში დაბალობით 130-140 ახალი მცირე და საშუალო ურბანული/ ნახევრადურბანული ცენტრების განვითარების მიმართულებით. ეს ტენდენცია შეაკავებს თბილისა და რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციის გაღრმავებას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ადგილზე დასაქმებას, შედეგად, შეამტკიცებს მიგრაციას სოფლიდან ქალაქებში და უახლოესი ათწლეულების განმავლობაში შეცველის ქვეყნის არსებულ სურათს „ერთი მეგაპოლისი - ჩამორჩენილი რეგიონები“ თანამედროვეობისათვის უფრო შესაფერისი მოდელით: „ერთი მეგაპოლისი - მრავალი ურბანული ცენტრი რეგიონებში“.

## ალტერნატივა 3. თეოტიმიართველობის შემთხვევაში დასახლებაში

ეს ვარიანტი გულისხმობს თეოტიმიართველობის დონედ დასახლებების განსაზღვრას. დღეისათვის საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებობს 3,600-ზე მეტი დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი).

ამ მოდელის ძლიერი მხარეები იქნება:

1. თეოტიმიართველობის ორგანოებისა და თეოტიმიართველი ერთეულების მაქსიმალური სიახლოვე მოსახლეობასთან;

2. თეოტიმიართველობის ორგანოთა მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, ტრადიციის და დასახლების სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინების შესაძლებლობა;

3. რეფორმის გატარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში პირდაპირი ადმინისტრაციული ჩარევის გარეშე.

ამ მოდელის სუსტი მხარეა ნერილი თეოტიმიართველი ერთეულების რესურსების შეუსაბამობა თეოტიმიართველობისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ კომპეტენციებთან. თუ მუნიციპალიტეტების რიცხვი გაიზრდება და თეოტიმიართველობის დონე დასახლებული პუნქტების იდენტური გახდება, თავიდან ვერ ავიცილებთ ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსების შემდგომ დაქვემდებარებას, რაც გამოიწვევს მომსახურების განვითარების განხორციელების სფეროში ადგილობრივი თეოტიმიართველობის ფაქტობრივ უუნარობას, ანდა სახელმწიფოზე სრულ მატერიალურ დამოკიდებულებას. ასეთ შემთხვევაში დეცენტრალიზაცია ფორმალურად განხორციელდება, რადგან:

1. აუცილებელი გახდება თეოტიმიართველობის ეოპეტენციათა საკანონმდებლო შეზღუდვა;

2. მოხდება ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურების განხორციელებისათვის სახელმწიფო საფინანსო და მატერიალური გალდებულებების მნიშვნელოვანი გაზრდა.

3. ამ მეთოდის გამოყენება გაზრდის ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი მომსახურების პროგრამების განხორციელების სფეროში. ეს თავისათვად გამოიწვევს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მნიშვნელოვან ზრდას. ასეთი პერსპექტივი მარნცდამაინც მიმზიდველი არ უნდა იყოს

კენტრალური ხელისუფლებისათვის, რომელიც მოსახლეობისათვის კონსტიტუციით გარანტირებული ვალდებულების შესრულებასაც ერა ახერხებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ არც კომპეტენციების შეზღუდვისაკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები და არც სახელმწიფოს ფინანსურ-მატერიალური ვალდებულებების ზრდა არ განხორციელდება, მაშინ, თვით-მმართველობის ნინაშე მდგარ ამოცანათა და მათ ხელთ არსებულ რესურსებს შორის შექმნილი მკეთრი დისპალანსის გამო, საერთოდ დეცენტრალიზაციის იდეის დისკურსიტაციის თავიდან ასაცილებლად, პოლოს და პოლოს სახელმწიფო კვლავ დადგება ახალი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის განხორციელების აუცილებლობის ნინაშე, როგორც ეს ხდება ამჟამად უკრაინაში.

5. აუცილებელი ხდება თეოთმიართველობის მეორე სუბნაციონალური დონის რეგიონს შემორება. მართალია, ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების ნაცელად რეგიონული დონის არსებობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც რჩება პირები დონის რესურსების სიმინდე და შუალედური (რეგიონული) დონისაგან მისი საკმაო დაშორება. სტატისტიკურად, თითო რეგიონში საშუალოდ 300, ხოლო ზოგ რეგიონში (იმერეთი, შიდა ქართლი) 500-ზე მეტი ერთეული შეიქმნება, რაც სავარაუდოდ ძალზე გააძნელებს რეგიონსა და თვითმიართველობებს შორის კოორდინაციის პროცესს.

#### 4.3. ერბანელი აგლომერაციის შემაღებელობა და მისი მართვა

თბილისის აგლომერაცია ქალაქების - მცხეთის, თბილისის, რუსთავის, გარდაბნის შემადგენლობით ბუნებრივად ვითარდება. ამასთან, თითოეული ქალაქი თავის თარგანულ სახეს ინარჩუნებს.

**მცხეთა - დღეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციული ცენტრი - მდებარეობს თბილისის აგლომერაციისა და შიდა ქართლის რეგიონის პირაპირზე, რაც, აგლომერაციის ფორმირების ამოცანიდან გამომდინარე, მოითხოვს რიც თამამ, რეფორმატორულ პოლიტიკურ და მმართველობით ქმედებებს. საქმე ისაა, რომ მცხეთა, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით უნიკალური და იმანენტური რელიგიური, ისტორიული, კულტურული, სარეკრეაციო ფუნქციების კონცენტრირების ქალაქი, განიცდის მისთვის არაორგანულ ადმინისტრაციულ და, შედეგად, ქალაქობრივებლობითს დატვირთვას. სწორედ ამ გარემოებამ, კონკრეტულად კი ნაციონალური და რეგიონული რანგის იბიექტების მშენებლობამ განაპირობა „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ ამოღება UNESCO-ს ბუნებისა და კულტურის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან და მისი გადატანა „სატორთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში“. მცხეთის განთავისუფლება მისთვის უზრუნველყო, გადაჭარბებული ადმინისტრაციულ მმართველობითი ფუნქციებისაგან და მისთვის თვითმიართველი ქალაქის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს მცხეთის ფუნქციურ-გეგმარებითი სპეციალიზების გაღრმავებას მხოლოდ მისთვის ისტორიულად განპირობებული მიმართულებით.**

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქი მცხეთა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ უკიდურესად ექსცენტრულადაა განთავსებული; ის, ფაქტობრივად, განაშენიანებით თბილისთანაა შეზრდილი, რაც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პერიფერიული ზონებისათვის მისი მისანედომობის პრობლემას ამძაფრებს.

ზემოხსენებული მოსაზრების განხორციელების შეორე მხარეა მცხეთის სანაცვლოდ რეგიონის ახალი ცენტრის შერჩევა. ამ ფუნქციას, ობიექტურად, დაბა უინვალი შეესაბამება. ისტორიულ ნუაროებში ქალაქები მოხსენიებული უინვალი (უინვანი) რეგიონისთვის სწორად საგაფრო-სახელოსნო და აღმინისტრაციულ-მმართველობითი ცენტრის როლს ასრულებდა, ის ბუნებრივად ერთვდა განსახლების იმდროინდელი ერთეულების - ხეობების - ფუნქციურ კავშირებს და, უფრო ფართო მასშტაბით - მთა-ბარის სამეურნეო ურთიერთობებს: „რუსთაველის ეპოქაში უინვალი ნარმოადგენდა არა მარტო არაგვის საერისთაოს მესვეურს, არამედ დიდ პოლიტიკურ და საგაფრო-სახელოსნო ცენტრსაც, რომელიც არეგულირებდა მთისა და ბარის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთებების. მთისა და ბარის საზღვარზე, უშუალოდ არაგვის ხეობის ყელში, დიდ საქარავნო გზათა გასაყარზე აღმოცენებული ქალაქი უინვალი საიმედო კონტროლს უწევდა საიალალო საძოვრებით მდიდარ „შვიდთავე მთიულეთს“<sup>45</sup>.

უინვალის პიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობამ 1970-ან წლებში შეინირა ძველი დასახლება; გაჩინდა ახალი, საქალაქო განაშენიანების მქონე დაბა, რომელმაც, პიდრომშენებლების ნასვლის შემდეგ, გასოფლება განიცადა. მცხეთიდან უინვალში სამხარეო და მუნიციპალური ცენტრის ფუნქციების გადატანა მრავალმხრივ ხელს შეუწყობს როგორც დაბა ცხინვალი ურბანულ რეაბილიტაციას და მცხეთის ფუნქციურ

<sup>45</sup> რამიშვილი რ. სტატია „უინვალი“. ქართული სამჭოო ენციკლოპედია. ტ. 8, თბილისი, 1984, გვ. 251.

განტერითვას, ისე თბილისის აგლომერაციის ფუნქციონირების ეფექტიანობას. ფრჩხილებში აღნიშნავთ, რომ უინვალი-თიანეთის შიდასახელმწიფო სააკტომიბილი გზის დაწყებული რეაბილიტაციის დასრულება 2015 წელს ამ მიმართულებით ერთი მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი იქნება.

თბილისის აგლომერაციის გრძივი ბირთვის დასახლებათა „მძივის“ გეოგრაფიულად მომდევნო ელემენტი არის ქვეყნის დედაქალაქი თბილისი. ბუნებრივია, მისი როლი და ფუნქციები აგლომერაციის ფორმირების პროცესში გაძლიერდება. ტრადიციული, დედაქალაქისათვის ჩვეული ფუნქციების გარდა, თბილის დაეკისრება აგლომერაციის ინსტიტუციური განსახიერების - დედაქალაქის ოლქის ცენტრის ფუნქციების განხორციელებაც. ამგვარი ნარმონაქმნები დამახასიათებელია მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის დედაქალაქებისა და, საერთოდ, უმსხვილესი საქალაქო აგლომერაციებისთვის.

აღსანიშნავია, რომ თბილისის აგლომერაციისა და დედაქალაქის ოლქის პრობლემატიკამ სათანადო ადგილი დაიკავა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში 2003 წელს შედგენილ „თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებული კონცეფციაში“.<sup>47</sup> როგორც ამ დოკუმენტის პრეამბული ნათქვამი, „შემაჯამებელ კონცეფციაში თავმოყრილია „ქ. თბილისის ურბანული განვითარების კონცეფცია“ - ზე ღია კონკურსის მიხედვით პრემირებული პროექტების, ფიურის ნეერებისა და ექსპერტების მიერ ნარმოდებილი შეფასებების ურთიერთშეჯერების შედეგად გამოვლენილი პოზიტიური პოზიციები“. ამგვარ პოზიციებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისის განვითარებას აგლომერაციულ სივრცეში. ხაზგასმულია, რომ თბილისის აგლომერაციის ურბანული განვითარების თანამედროვე მდგრამარეობა გვაძლევს საშუალებას კონცეფციაში გამოვყოთ აგლომერაციის ტერიტორიის ორი გეგმარებითი სივრცე; აგლომერაციის ურბანული ტერიტორია; აგლომერაციის არეალი.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით გადადგმულ, მაგრამ პალიატიურ ნაბიჯად შეიძლება მივიწიოთ 2006-2007 წლების მიჯნაზე დედაქალაქის ოურისადიქციის გაფართოება. ფაქტობრივად, ეს იყო 1950-ან წლებში თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების თითქმის უცვლელი გამეორება. მაშინ თბილისის მერვე - „გარეუბნის რაიონში“ შედიოდა სასოფლო-სამეურნეო და მომდევნო პერიოდში სარეკრეაციო ზონად გადაქცეული ტერიტორიები.

თბილისის აგლომერაციის ფორმირების პროცესში თვითმმართველ ქალაქ რუსთავის პოზიციონირება გარეუბნილად ემსგავსება ქალაქ მცხეთის მდგრამარეობას. ისტორიული გენეზისის დიამეტრულად სანინა-ალმდევი სურათის მიუხედავად, ამ შემთხვევაშიც, სივრცით-გეგმარებითი თვალსაზრისით, რუსთავი თბილისის „კარიბჭესთანა“ მომდგარი და, აქაც, თავისი სამეურვეო რეგიონის - ქვემო ქართლის უკიდურეს ჩრდილოდასავლეთის კუთხეშია მოწყვდებული. ამასთან ერთად, რუსთავსაც გააჩნია ღრმა სპეციალიზაციის ისტორია და თანამედროვე ფორმატში მისი განვითარების პოტენციალი. ეს არის ტექნიკოლისისა და ბიზნეს ინკუბატორების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელიც ეფუძნება სამენარმეო-ტექნიკური ინიციატივების ეულტიურას; უძრავი ქონების (მინის ჩათვლით) შედარებით დაბალი ფასებს; მძლავრი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურას; აგლომერაციის ცენტრის სიახლოეს და, ახალი ავტომაგისტრალის 2015 წელს დასრულების შემდეგ, დედაქალაქის 30 წელიან მისაწვდომობას.

რუსთავის სწორედ ამ მიმართულებით განვითარება მისი წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის ძირითადი პირობაა. ამასთან ერთად, ისევე, როგორც მცხეთამ, რუსთავის უნდა მოიხსნას რეგიონის მეურვეობის ფუნქციები და ეს როლი სხვა ქალაქს გადააბაროს. შესაფერისი ქალაქი ამ შემთხვევაშის გამოვლენილია - ეს არის ქალაქი ბოლნისი.

ბოლნისის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი გარემოებები. ქვემო ქართლის რეგიონში ბოლნის მეტაკლებად ცენტრალური მდებარეობა უჭირავს; ბოლნის-მადნეულის მცირე კონუბაცია საერთოდ ძლიერ სამეურნეო-ეკონომიკურ წარმონაქმნების წარმოადგენს. ბოლნის გააჩნია გერმანელებისდროინდელი ურბანული კულტურის ჯერ ეიდევ შესამჩნევი ტრადიციები. მოსახლეობის განათლების დონე საემაოდ მაღალია. განსხვავებით ამავე რეგიონის სხვა შედარებით მსხვილი დასახლებებისაგან, ბოლნისის ურბანულ გარემოში ბუნებრივად დომინირებს სახელმწიფო ენა. ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრად ბოლნისის აღიარების შემთხვევაში, მას თვითმმართველი ქალაქის სტატუსი უნდა მიერიქოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან თბილისის აგლომერაციის შემკვრელი დაბა - გარდაბანი. ამ შემთხვევაშიც, გასაღრმავებელია გარდაბნის სპეციფიკური, სახელმწიფო საზღვართან მისი მდებარეობიდან

<sup>47</sup> თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებული კონცეფცია. შემდგენელი - პ. ძიძიგური. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, 2003 (ხელიანერი).

გამომდინარე ურბანული პროცესი - ეს არის სათბობ-ენერგეტიკული ცენტრი; საბაჟო, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ფუნქციების ტერიტორიული თვალსაზრისით შეუზღუდავი განვითარების პოტენციალის მქონე დასახლება. ამ ახრივ არსებოთია, რომ ამ ფუნქციებს მნიშვნელოვანად გააძლიერებდა გარდაბანსა და რუსთავეს შორის, აგლომინაციის ბირთვის ღერძზე, თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რეინიგზაზთან უშუალოდ დაკავშირებული „მეოთხე თაობის“ ლოგისტიკური ცენტრის განვითარება.

ქალაქების აგლომინაციების სიკეთები კარგადაა ცნობილი დასავლური ურბანისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში, რასაც საფუძვლად უდევს განსახლების სისემის სუპერადიტიური ბუნება. ეს ფილოსოფიისგან ნასესხები ტერმინი განმარტებას საჭიროებს. ნებისმიერი სისტემა ადიტიურია, თუ მთელი უდრის ნანილების ჯამს; მაგრამ სისტემა არაადიტიურია, თუ მისი ნანილების ჯამი მთელზე მეტია (სუპერადიტიურობა) ან ნაკლებია (სუბადიტიურია). სხვანაირად რომ ვთქვათ, მილიონიანი ქალაქის სოციოეულტურული პოტენციალი თეორიულად მეტია, ვიდრე ოთხი 250 ათასიანქალაქის ჯამური სოციოეულტურული პოტენციალი. ამ მუნიციპალური მოვლენის საფუძველია ე.წ. კუმულაციური ეფექტი (ზოგადად, ეს არის ფაქტორების კონცენტრაციის, თავმოყრის, მათი „კრიტიკული მასის“ მიღწევის შედეგად მიღებული მულტიპლიცირებული ეფექტი).

ურბანისტიკის ენაზე ეს ყოველივე გულისხმობს ურბანული აგლომინაციების, ავტონომიურ ქალაქებთან შედარებით, ისეთ უპირატესობებს, როგორიც არის:

- აგლომინაციის ფარგლებში ყოველგვარი არჩევანის (სწავლა-განათლება, დასაქმება, სოციალურ-ეულტურული აქტივობა, რეკრეაცია, სერვისებით სარგებლობა, ვაჭრობადასხვა) მეტი შესაძლებლობა;
- შრომისა და უძრავი ქონების, მიწის ჩათვლით, ერთიანი ბაზრების ფორმირება;
- განუყოფელი ეკოლოგიური პრობლემატიკის გაცილებით უფრო შედეგიანი მართვა;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის კოოპერირების უთუო ეფექტიანობას;
- აგლომინაციაში შემავალი დასახლებების ორგანულ სპეციალიზებასა და მათი ტერიტორიების ადეკვატურ ზონირებას;
- საცხოვრებლად კომფორტული ურბანული გარემის შექმნა.

თბილისის აგლომინაციის ოპტიმიზაციური ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფორმატი იქნება „დედაქალაქის ოლქი“, მასში შემავალი მუნიციპალიტეტების თეოტმმართველობის შენარჩუნებით. სწორედ დედაქალაქის ოლქმა შეიძლება ითამაშებს იმ ქვაუთხედის სისტემამაფორმირებელ როლი, რომელზედაც, ადრე თუ გვიან, აიგება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის მდგრადი ეონსტრუქცია. დამატებით, მთავრობამ საჭიროა ცვლილებები შეიტანოს მცხეთა-მთიანეთისა და ქვემი ქართლის მუნიციპალიტეტებში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების საქმიანობის განმიანობის განმისაზღვრელ ნორმატიულ აქტებსა და შეცვალის მათი ადმინისტრაციების ადგილმდებარეობა.

დედაქალაქის ოლქის მმართველი ორგანოები, რეფორმის ამ ეტაპზე, შეიძლება შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 21-ე მუხლის საფუძველზე,<sup>48</sup> ქ. ტბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს შექმნიან ერთობლივ სამსახურებს ან მათ მაქორდინირებელ ორგანოს ცალკეული უფლებამოსილების განსახორციელებლად და საამისოდ გაართიანებენ საბიუჯეტო სახსრებს.

აგლომინაციაში შემავალი მუნიციპალიტეტებისათვის საერთო პრობლემატიკის უფრო ეფექტური გადაწყვეტისა და მართვისათვის ერთობლივად შექმნილიურიდიულ პირს შეიძლება გადაეცეს, საორიენტირებულ, შემდეგი უფლებამოსილებები:

- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების შემუშავება; ქალაქ-თმენებლობითი დოკუმენტაციის, მათ მორის, მიწათარგებლობის გენერალური გეგმის, განამენიანე-

<sup>48</sup> ადგილობრივი თეოტმმართველობის კოდექსი,

მუხლი 21. მუნიციპალიტეტების უფლება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებაზე

1. მუნიციპალიტეტების ამ ენონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფუძნების განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხის მომსახურების განვითარების მიზნით უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით, ხელშეკრულების საფუძველზე დააუუზვონ ერთობლივ სამეცნიერებლო და არსამეცნარმეო (არაემზრული) იურიდიულ პირებით ან შექმნის სამსახურები, რომელსაც გადასცემით გათვალისწინებულ ცალკეულ ერთგვაროვან უწყესობას შესაბამისი მატრიცალური და ფინანსური უზრუნველყოფით აღნიშნული იურიდიულ პირების მართვის, დაფინანსებისა და კინტროლის წესები და პირობები განისაზღვრება მუნიციპალიტეტებს მორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფლებულ ხელშეკრულებით.

2. ერთობლივი პროცესის განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტებს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბორეგოტო სასხრების გაერთიანების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს ხელს ანგრის მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

- ბის რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავება;
- ტერიტორიის გამოყენება და მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
  - მუნიციპალიტეტების მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების კოორდინაცია;
  - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
  - მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტი მომსახურების ორგანიზება; ოლქის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა;
  - გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
  - შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

## 5. შემოთავაზებული მოდები

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შემოთავაზებული მოდებით, რეფორმის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს:

1. 15,000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქების ცალკე მუნიციპალიტეტებად ჩამოყალიბება;
2. თვითმმართველი თემების ტერიტორიული ოპტიმიზაცია - მსხვილი მუნიციპალიტეტების შედარებით მცირე თვითმმართველი თემებად ჩამოყალიბება, ნინასნარ განსაზღვრული ერიტერიუმების გათვალისწინებით;
3. ურბანული მეტროპოლიტის ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაცია - დედაქალაქის ოლქის შექმნა.

შემოთავაზებული მოდებით ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოსალოდნელი შედეგები:

1. მუნიციპალიტეტის სტატუსი მიენიჭება კიდევ 10 ქალაქს, სულ თვითმმართველი ქალაქების რიცხვი საქართველოში მიაღწევს 22-ს.
2. გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული მართვა, მათი მოსახლეობისათვის სავარო სერვისების მინოდების ხარისხი და გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.
3. ხელი შეენყობა თვითმმართველი ქალაქების მდგრად ურბანულ განვითარებას, მათში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას და დიდი ურბანული ცენტრებისა და აგლომერაციების (თბილისი, ბათუმი) მიმართულებით მიგრაციის ნაკადის შემცირებას.
4. თვითმმართველი თემების რიცხვი დაახლოებით გასამმაგდება და მუნიციპალიტეტების საშუალო ზომა მიუახლოვდება საშუალოევრო პულს.
5. ხელი შეენყობა ახალი თვითმმართველი თემების ადმინისტრაციული ცენტრების - დაბებისა და მცირე ქალაქების მდგრად ურბანულ განვითარებას, ახალი ურბანული ცენტრების გაჩენას, მათში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენას და დიდი ურბანული ცენტრებისა და აგლომერაციების (თბილისი, ბათუმი) მიმართულებით მიგრაციის ნაკადის შემცირებას.
6. ხელი შეენყობა დედაქალაქისა და მიმდებარე ქალაქების: მცხეთის, რუსთავისა და გარდაბანისგან შემდგარი ურბანული აგლომერაციის მდგრად განვითარებას, მისი დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებას და საერთო პრობლემატიკის თანამდებობის გადაწყვეტას, რითაც გაუმჯობესდება მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხი და საცხოვრებელი გარემო.

## ლანარობი

### ლანარობი 1. გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხალმისაწვდომობის განსაზღვრა

რამდენადაც თვითმმართველი თემი რამდენიმე დასახლების ერთობლიობაა, ქალაქისგან განსხვავებით, ის ტერიტორიულადაა განვითილი და მასში შემავალ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა გარევეული მანძილითაა დაცილებული მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციულ ცენტრს. თემის ამ თავისებურების გათვალისწინებით, მისი შექმნის/გაუქმების საკითხისთვის მხოლოდ დემოგრაფიული კრიტერიუმი (მოსახლეობის რაოდენობა) არ არის საქმარისი და, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, აუცილებელი ხდება გეოგრაფიული კრიტერიუმის (დასახლებული პუნქტების დაშორება აღმინისტრაციული ცენტრიდან) გათვალისწინებაც.

თემში შემავალი დასახლებების მოსახლეობისათვის აღმინისტრაციული ცენტრის სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც უშაულოდ მოქალაქეთათვის საჯარო სერვისების მინოდების ხარისხსა და ღირებულებაზე. რაც უფრო დამორჩულია დასახლებული პუნქტი ადმინისტრაციულ ცენტრს, მით უფრო იზრდება როგორც ვალკეული საჯარო სერვისების მიღებისთვის მოქალაქეთა დროს და ფინანსური დანახარჯები, ასევე მუნიციპალიტეტის ხარჯები ზოგიერთი სერვისის მოსახლეობისათვის მინოდებაზე.

მუნიციპალიტეტების სიდიდე განსაზღვრავს მოსახლეობისათვის მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრის და, მაშასადამე, იქ არსებული მუნიციპალური ორგანოების მიერ საჯარო მომსახურების მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობაზე. მუნიციპალიტეტის მახასიათებელი გეოგრაფიული (მანძილი) და დემოგრაფიულ (მოსახლეობა) პარამეტრების ერთობლივად, რაოდენობრივი მაჩვენებლის სახით გამოსახვისათვის შემოთავაზებულ იქნა თვითმმართველი ერთეულის აღმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწვდომობის კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც თავისი შინაარსით საქმიან ინდიკატორია და მდგომარეობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალურ ცენტრთან ფარდობითი დაშორების (მისაწვდომობის) განსაზღვრაში 100,000 მოსახლე-ეილობებზე:<sup>49</sup>

მუნიციპალიტეტებისათვის, რომელთა შემადგენლობაში მხოლოდ სასოფლო ტიპის დასახლებებია, ის განისაზღვრება ფორმულით:  $G_{UR} = \frac{1}{\Sigma(p \times s)} \times 100,000 [1]$ , სადაც  $G_{UR}$  არის თვითმმართველი თემის მოსახლეობისათვის ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწვდომობის კოეფიციენტი (შედეგი მრგვალდება მეასიათასამდე);  $p$ -დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის რაოდენობა,  $s$ -საავტომობილო გზის სიგრძე დასახლებული პუნქტიდან მუნიციპალურ ცენტრამდე კილომეტრებში,  $\Sigma(p \times s)$  დასახლებული პუნქტების მოსახლეობის რაოდენობისა და აღმინისტრაციულ ცენტრამდე მანძილთანამრავლების ჯამი.

ქალაქებისათვის და თვითმმართველ ერთეულში შემავალი ურბანული დასახლებული პუნქტებისათვის ანალოგიური კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$G_{City} = \frac{1}{p \times \sqrt{\frac{s}{2}}} \times 100,000 [2]$$

სადაც  $G_{City}$  არის ქალაქის მოსახლეობისათვის ადმინისტრაციულ დაწესებულებასთან გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწვდომობის მაჩვენებელი;  $P$ -ურბანულ დასახლებულ პუნქტში მოსახლეობის რაოდენობა,  $S$  - ურბანული დასახლებული პუნქტის ფართობი კვადრატულ კილომეტრებში,  $p$  - რიცხვი „პი“,  $\sqrt{\frac{s}{2}}$  - კვადრატული ფართი. ქალაქის შემთხვევაში ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ ყველა ქალაქის განლაგება მეტნალებად ინდიკირდულია და რაიმე ურიცემისალური მარშრუტის განსაზღვრა არარეალური. ამიტომ ქალაქის ტიპის მუნიციპალიტეტს განვიხილავთ როგორც შესაბამისი ფართობის ნორეს, სადაც მოსახლეთა საშუალო დაშორება მუნიციპალიტეტის ცენტრთან ამ წრის რაოდენულის ნახევარია.

იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველ ერთეულში შედის ქალაქი ან სხვა ურბანული დასახლებული პუნქტი:

$$G = G_{UR} + G_{City} = \left( \frac{1}{\Sigma(p \times s)} + \frac{1}{p \times \sqrt{\frac{s}{2}}} \right) \times 100,000 [3]$$

<sup>49</sup> დ.ლოსაბერიძე, ქ. კანდელაკი, მ. აბულაძე, ნ. კაპანაძე, დ. ჭიჭინაძე, მ. ჩიტაძე, თ. თორდინავა, პ.შევიძე, გ. მაზრიშვილი, ნინადადებები თელავის, მცხეთის, გორის, ახალციხის, ზუგდიდის, ამბროლაურისა და თბილისის მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის შესახებ, 2013, გვ.3

დანართ №2-ში მოყვანილია ცხრილი, სადაც მოცემულია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა და მისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისაწვდომობის კოეფიციენტების გამოთვლების შედეგები. ამ ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თვითმმართველი თემებისათვის მისაწვდომობის კოეფიციენტი დიდნილად არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობაზე, სადაც ეს ციფრი მაღალია, უხშირესად მისაწვდომობა ცუდია, უფრო მცირე მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

თუ დანართ №2-ში მოყვანილ ცხრილს თვითმმართველი ქალაქების გარეშე განვიხილავთ (დანართი №3), ვნახავთ, რომ საშუალოზე მაღალი მოსაწვდომობა ( $G > 0,319$ ) ამებამად მხოლოდ 17 მუნიციპალიტეტშია (მისაწვდომობის მაღალი კოეფიციენტით გამოიჩინა აგრეთვე 7 თვითმმართველი ქალაქი).

ქვეყნის მასშტაბით თვითმმართველი თემების გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის საშუალო კოეფიციენტის  $G_{საშ} = \frac{100\ 000}{p \times s}$

აქედან გამომდინარე, სათემო მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მიერ ადმინისტრაციულ ცენტრებში საჯარო მომსახურების მიღებისათვის განეული სატრანსპორტო დანახარჯი ( $E$ ) შემდეგნაირად არის დამოკიდებული თვითმმართველი თემების გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის საშუალო  $G_{რეგ} = \frac{200\ 000 \times c \times n}{G_{საშ}}$ :

**ლანგარზე 2. მუნიციპალიტეტების G კოდიფიკაციის მიხედვით**

საქართველოს მუნიციპალიტეტები  
გეოგრაფიულ-სატრანსპორტო მისამართობის კოდიფიკაციის (G) მიხედვით

მუნიციპალიტეტი	G	P	მუნიციპალიტეტი	G	P
შემხედვი	0,003	21 608	ტემერი	0,249	14 500
ქალაქის	0,006	1 181 700	ნიმუშისძიება	0,260	32 121
ქადაგის	0,007	196 000	ჩატური	0,270	62 600
გარდამატი	0,037	96 876	დაბაზის	0,270	29 105
გარე	0,064	97 162	ქალაქის	0,273	161 200
გარემონტი	0,067	67 122	ჭავჭავა	0,276	23 682
გარემონტი	0,083	98 042	ახტაწა	0,283	38 697
გარემონტი	0,093	70 716	ნიმუშისძიება	0,285	17 606
გარემონტი	0,097	74 730	ახლოუბა	0,290	28 105
გარემონტი	0,100	64 364	ტემერი	0,325	28 511
გარემონტი	0,103	94 538	სინერგი	0,369	51 708
გარემონტი	0,105	52 023	სიმორტყელი	0,393	33 928
გარემონტი	0,115	76 086	სივები	0,394	21 976
გარემონტი	0,123	57 267	სკო	0,404	20 907
გარემონტი	0,124	64 792	სკორი	0,409	16 675
გარემონტი	0,124	59 185	სკო	0,410	34 567
გარემონტი	0,132	35 282	სინამდვირი	0,426	22 458
გარემონტი	0,136	56 238	სისიცო	0,484	13 770
გარემონტი	0,155	130 758	სისიცო	0,522	30 149
გარემონტი	0,156	51 342	სისიცო	0,551	29 544
გარემონტი	0,157	48 872	სისიცო	0,618	31 902
გარემონტი	0,162	64 036	სისიცო	0,635	11 593
გარემონტი	0,173	27 737	სისიცო	0,718	13 966
გარემონტი	0,174	32 351	სისიცო	0,905	47 149
გარემონტი	0,176	46 558	ქაბული	1,252	69 000
გარემონტი	0,177	34 757	ქაბული	1,487	54 700
გარემონტი	0,180	41 835	ქაბული	1,488	7 723
გარემონტი	0,182	53 635	ქაბული	1,681	8 476
გარემონტი	0,182	28 188	ქაბული	2,017	7 201
გარემონტი	0,188	45 404	ქაბული	3,134	2 578
გარემონტი	0,189	65 967	ქაბული	3,134	123 090
გარემონტი	0,194	43 277	ქაბული	3,134	20 350
გარემონტი	0,195	55 779	ქაბული	4,211	23 483
გარემონტი	0,202	46 400	ქაბული	4,581	21 800
გარემონტი	0,208	39 057	ქაბული	19,182	7 700
გარემონტი	0,233	42 356	მარელი	0,847	63 873

**საქართველოს 3. მიზიდვას როგორი მახასი G ქლაუდიუნის მიხალვით**

თავი 01889 არის კლასი მახასი G

სამართლებრივი სამინისტრო 2016 წლის მარტის პირველი დღის განმარტივების (G) მიხალვით

მუნიციპალიტეტი	G	P	მუნიციპალიტეტი	G	P
ბათუმი	0,003	21 608	სამხრეთი	0,195	55 729
გურჯაალი	0,037	95 876	ჩოხატავი	0,202	46 400
გურია	0,064	97 162	ხაშური	0,208	39 067
გურჯაალი	0,067	67 132	ლატენი	0,233	42 356
გურჯაალი	0,083	98 042	მესტია	0,249	14 500
გურჯაალი	0,093	70 716	ნინოწმინდი	0,260	32 121
გურჯაალი	0,097	74 730	სამეგრელი	0,270	62 600
გურჯაალი	0,100	64 364	ფაშისი	0,270	29 105
გურჯაალი	0,103	94 538	ჭავჭავაძე	0,276	23 682
გურჯაალი	0,105	52323	ჭავჭავაძე	0,283	38 697
გურჯაალი	0,115	76 086	ნინოწმინდი	0,285	17 606
გურჯაალი	0,123	57 267	ჭავჭავაძე	0,290	28 105
გურჯაალი	0,124	64 792	ტბილისი	0,325	28 511
გურჯაალი	0,124	59 185	ხაჭაპური	0,369	51 798
გურჯაალი	0,132	35 282	ჩხომელი	0,393	33 928
გურჯაალი	0,136	56 238	ხელიშვილი	0,394	21 976
გურჯაალი	0,155	130 758	ჭავჭავაძე	0,404	20 907
გურჯაალი	0,156	51 342	გაგამია	0,409	16 675
გურჯაალი	0,157	58 872	გურია	0,410	34 567
გურჯაალი	0,162	64 036	ჩოხატავი	0,426	22 458
გურჯაალი	0,173	27 737	გომილი	0,484	13 770
გურჯაალი	0,174	32 351	გომილი	0,522	30 149
გურჯაალი	0,176	46 558	გადაბეკი	0,551	29 544
გურჯაალი	0,177	34 757	გომილი	0,618	31 902
გურჯაალი	0,180	41 835	გამოსახული	0,635	11 593
გურჯაალი	0,182	53 636	გომილი	0,718	13 966
გურჯაალი	0,182	28 188	გომილი	1,488	7 723
გურჯაალი	0,188	45 404	გომილი	1,681	8 476
გურჯაალი	0,189	65 967	გომილი	2,017	7 201
გურჯაალი	0,194	43 277	გომილი	3,379	44 512

#### დანართი 4. ტრანსპორტზე მისამართი

მისაწვდომობა მუნიციპალიტეტის  
უნიტარული ტრანსპორტული - პრივატული  
ნივთა სისტემის ნარკეულობისან



მისაწერულმომართის მუნიციპალიტეტის  
ცენტრის მდებარეობის უზრუნველყოფა - პრივატული  
წილით სამართლის მისახლეობის დაწესება



## ლანგართი 5. მოლების დასახლების ეტაპები

თვითკომისარი და ეფექტური ტერიტორიული თემების შექმნის უმნიშვნელოვანესი ნინაპირობა უნდა იყოს მათი ადმინისტრაციული საზღვრების პროექტების შედგენისას ღრმა ანალიზის აუცილებლობა და სიფრთხილის პრინციპების დაცვა. თვითმმართველი თემის საზღვრების მოდელის შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს:

- ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ცელილებათა ანალიზს, როგორც მუნიციპალიტეტებს შორის არსებული საზღვრების ისე 2006 წლამდე ყოფილი თვითმმართველი ერთეულებისა და ამჟამინდელი ტერიტორიული ერთეულების საზღვრების „მყარი“ მონაკვეთების გამოვლენას და იმ ახალი რეალობების გათვალისწინებას, სადაც მათი ცელილება აუცილებელი გახდა.
- უწყებრივი და ეკონომიკური დაყოფის ქსელების შესწავლას (საავტომობილო გზები და რეინიგზები, ენერგომშემარაგება, სატყეო მუნიციპალიტეტების და საგანმანათლებლო ობიექტების, მაღაზიების ქსელებიდა ა.შ.), რომელთა ერთობლიობა ასახავს ტერიტორიის სამუნიციპალიტეტულ და სოციალურ დაყოფის 21-ე საუკუნის თვის შექმნილ რეალობას და მისი განვითარების პერსპექტივებს.
- ეულტურულ-გეოგრაფიული ერთობების და ცხოვრების პირობებსა და ცხოვრების დონეში არათანაბრიობით გამოწვეული განსხვავებულობების გამოვლენას, საქართველოს ტრადიციული რეგიონულ-ეკოსისტემი დაყოფის თავისებურებებს და მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობის არსებულ რეალობას, რათა განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყოს სამოქალაქო მშვიდობის დამკვიდრებას და გამოაცალოს სოციალური საფუძველი დაძაბულობის ექრების გაჩენას.
- ისეთი ობიექტური ინდიკატორების ანალიზს, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, დემოგრაფიული სიტუაცია და მისი ცვლილებების ტენდენციები, სავარაუდო ადმინისტრაციულ ცენტრამდე გეოგრაფიულ-სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი, თემის ტერიტორიაზე სასოფლო-სამუნიციპალიტეტო და სამრეწველო საწარმოთა საქმიანობით განპირობებული სავარაუდო საგადა-სახადობაზის პარამეტრები თვითკომისართველი ადგილობრივი ბიუჯეტის შესაქმნელად და ა.შ.
- მოსახლეობის დასაქმების ძირითადი ადგილებისა და ყოველდღიური მიგრაციის ნაკადების ანალიზს.

თვითკომისარი და ეფექტური თვითმმართველი თემების მოდელირების ეტაპები:

### ა. ეკონომიკური ართიანების სახელმწიფო ბაზაზე ახალი თავმასის ფორმირება:

1. განისაზღვრება ეკონომიკური აქტივობის ცენტრები (ამჟამინდელი მუნიციპალური ცენტრები, რომლებსაც არ მიერიქებათ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი; ინფრასტრუქტურულ კვანძებში მდებარე დაპები და დიდი სოფლები) რომლებიც ავლენენ ეკონომიკური ზრდის მყარ ტენდენციას და მუნიციპალიტეტის ცენტრის ფუნქციის მინიჭების შემთხვევაში მოხდება მათთა ქალაქის არმომებრელი დერქების დივერსიფიკაცია, რითაც ურბანული განვითარების კერებად გადაიკცევიან და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედევად გამოთავისუფლებული მუშახელის ადგილზე დასაქმების პერსპექტივებს შექმნიან.

2. თვითმმართველი თემის საზღვრების კონტურების მოხაზვა, რომლებიც სავარაუდო ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის დააბლობით თანაბარ მანძილზე გაივლება, ეკონომიკური აქტივობის ცენტრების გავლენის ზონის გათვალისწინებით. თუ გეოგრაფიულად ახლოს მდებარე დასახლებებს შორის არ არის საიმედო სატრანსპორტო კავშირი (არ არის გზა, ხიდი, სხვა საინჟინირო ნაგებობები), ანდა მათი აგება არამიზანშენონილია, ასეთი დასახლებები შეგა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. ეს ეხება აგრეთვე მზუნობელ დასახლებებს, რომლებიც განცალკევებულია ბუნებრივი ბარიერებით: მდინარეებით, ხეობებით, მთაგრეხილებით, ტყის მასივებით და მისით.

3. არ არის სასურველი ძალზე მცირე თვითმმართველი ერთეულების შექმნა, რომლებიც საპროგნოზო საბიუჯეტო უზრუნველყოფა შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე მნირი ან ძალზე მაღალი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. გამონაკელისები შეიძლება გაეკონის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თემის გამოცალეევება განპირობებულია გადაულახავი გეოგრაფიული ფაქტორებით (მთაგრეხილები, ღრმა ხეობები, ჭაობები და მისთ.). ამ მიზნით რეკომენდებულია, რომ თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის მისაწვდომობის კოეფიციენტი, როგორც წესი, არ აღემატებოდეს 1,0-ს ან/და მოსახლეობის რაოდენობა არ იყოს 3,000-ზე ნაკლები.

4. არ არის სასურველი ერთ თემში ეკონომიკური აქტივობის ერთზე მეტი ცენტრის არსებობა, რამაც მომავალში შეიძლება საზოგადოებაში შედა დაპირისპირება ნარმოშვას. ასეტ შემთხვევაში უმჯობესია სხვადასხვა ცენტრების გარშემო თრიან რამდენიმე მუნიციპალიტეტის ფორმირება იმ პირობის დაცვით, რომ მათი კოეფიციენტები არ აღემატებოდეს 1,0-სან/და მოსახლეობის რაოდენობა არ იყოს 3,000-ზე ნაკლები.

## **ბ. სოსიალურ-ეკონომიკური სამინისტროს ბაზაზე თვითმმართველი თამაშის ფორმირება:**

1. თუ დასახლებათა ჯგუფი მნიშვნელოვნადაა მოცილებული ეკონომიკური აქტივობის ცენტრებს ან მათთან კომუნიკაციური კაერინის პრობლემების (ცუდი გზა, მთები, მდინარეები და მისთ.), ასეთი დასახლებებისგან ფორმირდება ცალკე თვითმმართველი თემი. ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი თემის ინტერასტრუქტურის განვითარებაში შეფარდებით მაღალი ინვესტიციები იქნება საჭირო.

2. ისეთ ტერიტორიაზე თვითმმართველი ტემების ფორმირებისას, სადაც არ აღნიშნება ეკონომიკური აქტივობის ცენტრი, უპირატესობა ენიჭება ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციის მინიჭებას იმ დასახლებისადმი, რომელიც მეხობელი დასახლებების მცხოვრებთა მიერ ტრადიციულად არის მიჩნეული ადგილობრივი საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური ცხოვრების ან საერთო ცენტრად. თუ ასეთი დასახლება რამდენიმეა და მოსახლეობის აზრი მომავალი ადმინისტრაციული ცენტრის შერჩევის საკითხში იყოფა ან გამოკვეთილი არაა, უპირატესობა ენიჭება იმ დასახლებას, რომლის კოეფიციენტი, სხვებთან შედარებით, უფრო უკეთესია (შალალია) იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისა მოსახლეობის რაოდენობა სხვა დასახლებებთან შედარებით მცირერიცხოვანია. იმავდროულად, უნდა გათვალისწინებულ იქნას ამ დასახლების, როგორც მუნიციპალიტეტის მომავალი ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები (ბაზობები, სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაკვეთის ადგილებიდან). მ.

3. განცალკევებულად მდებარე დასახლება, რომელიც ეკონომიკური აქტივობის რომელიმე ცენტრის გაფლენის ზონაში არ ექცევა, მიეკუთვნება იმ თემს, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრთან უფრო ახლოს იქნება სატრანსპორტო მისაწვდომობის თვალსაზრისით, ასევე სხვა ფაქტორების - უფრო უკეთესი საბიუჯეტო სტრუქტურის, მოსახლეობის გამოყითხვით დადგენილი უმრავლესობის სურვილის გათვალისწინებით.

## **მ. თვითმმართველი თამაშის საზღვრების დადგენის რეკომენდაციები:**

1. როგორც წესი, ორ თვითმმართველ თემს შორის საზღვარი გაიკვება მათი ადმინისტრაციული ცენტრების განაშენიანების საზღვრებიდან დაახლოებით თანაბარი დაცილებით;

2. საზღვრის გაეღება უნდა მოხდეს რელიფის დამახასიათებელი თავისებურებების გასწრივ (ქედების მნერვალებზე და ნაკლებად მყოფებზე, მდინარეების, რეინიგზების, ტყისა და მინდვრის გზების და ტოპოგრაფიულად გამოხატული სხვა ობიექტების გაყოლებით);

3. მინათსარებლობის საზღვრები გასათვალისწინებელია, მაგრამ განმსაზღვრელი არ არის. სასურველია, საზღვრების სწორი ხაზებით გავლება, თუ ტოპოგრაფია ამის სამუალებას იძლევა, იმ პირობით, რომ თავიდან უნდა იქნას აცილებული საჯარო რეესტრში ერთ ობიექტად (ნაკვეთად) რეგისტრირებული მინის საზღვრით გადაკვეთა;

4. სასურველია, ძირითადში დაცული იყოს 2006 წლამდე არსებული თვითმმართველობების საზღვრების მთლიანობა;

5. სასურველია, რომ ახალი თვითმმართველი თემების ფართობები თანაბარზომიერი იყოს და მათში ექცეოდეს მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების დამაკავშირებელი შეიდა გზები;


6. ქალაქების საზღვრების დადგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული მათი შემდგომი ზრდის ტენდენციები (ავტომაგისტრალის, სანაპიროს, მიმდებარე ქარხნის მიმართულებით), ასევე ეროვნული მინის საზღვრით სადგურების, რეერეაციული ზონების მათში მოქცევის საჭიროება;

7. ერთი თვითმმართველი თემის საზღვრები უნდა ემთხვეოდეს შეზობელი თემების საზღვრებს ან სახლ-მინიფორმულების საზღვარს და უნდა იყოს უწყვეტი (არ შეიძლება ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილი მოქცეული იყოს სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შეგნით);

8. ახალი საზღვრების დადგენას, ყველა ერნერეტულ შემთხვევაში, აუცილებლად ნინ უნდა უსწორებდეს სივრცითი მოწყობის პროექტის შემუშავება. ამ პროცესში ნინასწარ უნდა განისაზღვროს საერთოეროვნული და სახელმწიფოს ინტერესები (ინფრასტრუქტურული, თავდაცვითი, დაცული ტერიტორიები, ძეგლთა დაცვის ზონები და სხვა).

დანართი 6. მოსახლეობის ჩამოვლების სპეციფიკა 1990–2013

მოსახლეობის რაოდენობის პროცენტული ცვლილება 2013 წელს  
1990 წლითამ შეკვერგით მუნიციპალიტეტები




**ლანართი 7. მინის საშუალო ფართობი მაურინგებაში**

მინის საშუალო ფართობი ერთ მაურინგებაზე (ვედანი), 2010


ქვეყანა	მინის საშუალო ფართობი ერთ მეურნეობაზე	ქვეყანა	მინის საშუალო ფართობი ერთ მეურნეობაზე
კვიპროსი	3,1	ნორვეგია	21,6
რუმინეთი	3,4	ესპანეთი	24,0
საბერძნეთი	5,8	ნიდერლანდები	26,0
სლოვენია	6,4	სლოვაკეთი	28,1
იტალია	7,9	ბელგია	31,7
უნგრეთი	8,0	ირლანდია	32,3
ლუქსემბურგი	9,35	ფინეთი	35,9
პოლონეთი	9,6	შვედეთი	43,5
ბულგარეთი	9,8	ესტონეთი	47,7
პორტუგალია	12,0	საფრანგეთი	52,6
ლიტვა	13,7	გერმანია	55,8
ევროკავშირი	14,1	დანია	64,6
ავსტრია	19,5	დიდი ბრიტანეთი	78,6
ლატვია	21,5	ჩეხეთი	152,4

წყარო: [www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics](http://www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics)

ლანდრო 8. პოვერევალია კატეგორია 2014



ლანგროი 9. მოსახლეობის საშ. რაოდენობა ევროკულ მარიზამითიაზე



## დანართი 10. საერთაშორისო გამოსღილება აღმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმაბის გატარების სფეროში

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში გატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა. მაგალითად, ლატვიაში რეფორმები პოლიტიკური და გეოგრაფიული კრიტერიუმების და არა ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით გატარდა, როგორც ეს სხვა ქვეყნებში მოხდა. ლატვიის მთავრობამ მიიღო კანონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმების შესახებ და შექმნა სპეციალური კომისია ახალი პოლიტიკურ/გეოგრაფიული საზღვრების დასადგენად. ზემოთხსენებულ კანონში ასახული კონკრეტული კრიტერიუმები ქვემოთა მოყვანილი:

ნაწილი 10. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასთან დაკავშირებული ნინადადებების მომზადების პროცესში შემდეგი შეფასების კრიტერიუმები იქნება გათვალისწინებული:

1. ქვეყნის ტერიტორიის გრძელვადის და დაბალნებული განვითარების უზრუნველყოფა;
2. ადგილობრივ თვითმმართველობებზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობა;
3. ქვეყნის ტერიტორიის ზომა;
4. ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა;
5. ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სიმჭიდროვე;
6. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შეთავაზებული მომსახურეობების მისანედომობა;
7. ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის არსებული ეკონომიკური, გეოგრაფიული და ისტორიული კავშირები;
8. ქვეყანაში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობების ოპტიმალური ზომის უზრუნველყოფა მეზობელი ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ინტერესების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმების საკითხებზე შექმნილმა კომისიამ დამატებითი კრიტერიუმები შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობების ოთხი ძირითადი მახასიათებლის განსაზღვრის გზით:

1. მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა - 5,000 მოსახლე
2. ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკუთარი ქალაქის არსებობა
3. საგზაო სისტემა უნდა აქმაყოფილებდეს ფუნქციონალურ სტანდარტებს
4. პერიფერიული და ცენტრალური დამსახურება მაქსიმუმ 30 კილომეტრს უნდა შეადგინდეს.

დანიაში ტერიტორიული რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა სახელმწიფო მომსახურეობების ეფექტიანობის მაქსიმალიზაციას ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კონსოლიდაციის გზით. რეფორმა ორ მარტივი კრიტერიუმის ეყრდნობოდა:

1. ერთი ქალაქი - ერთი მუნიციპალიტეტი (ამ კრიტერიუმის შესაბამისად ტერიტორიის რეორგანიზაცია ურბანული ცენტრების (ქალაქების) მიხედვით განხორციელდა; არ იქნა დაშვებული რაონიული დასახლებების მუნიციპალიტეტებად ჩამოყალიბება, რომლებსაც არ ვააჩინოთ ურბანული ცენტრები);
2. ახალი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა არანაკლებ 20,000 მოსახლისა (მოსახლეობის მინიმალური რაოდენობის კრიტერიუმი).

შეედეთში ტერიტორიული რეფორმების პროცესში გამოყენებული კრიტერიუმების საფუძველზე ადგილობრივი ერთეულების კლასტერებად დაყოფა განხორციელდა ე.წ. „ბუნებრივი ტერიტორიის“ კონცეფციის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რაიონების გაერთიანებას საერთო/ეკონომიკური ცენტრების გარშემო. 1950-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობების რაოდენობა 2,500-დან 1,000-მდე შემცირდა. 20 წლის შემდეგ, ანუ 1970-იან წლებში შევედროში გადაწყვეტილეს, რომ რეფორმამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს სახელმწიფო მომსახურეობების ეფექტურიზაციის მიზანის მიერ რაუნდი და ადგილობრივი თვითმმართველობების რაოდენობა 1,000-დან 290 ერთეულამდე შემცირდა, როგორც ეს ამეამად არის. ამგვარად, შევედროში ტერიტორიული რეფორმების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობების რაოდენობა 85%-ით შემცირდა, ანუ 2,500-დან 290-მდე.

60 ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ეფექტიანი დაგენერიკული და განხორციელების ტექნიკური სახელმძღვანელო, მომზადებული გლენდალ რაიონის მიერ, USAID, 2014 წლის ივნისი

ალბანეთში ახლახანს განხორციელდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების გადასინჯვა და აქაც მსგავსი კრიტერიუმები იქნა გამოყენებული ყოფილი მუნიციპალიტეტისა და დასახლებების კონსოლიდაციისთვის:

1. „ალბანეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ“ 2000 წლის 31 ივნისს მიღებული 8653 კანონის შესაბამისად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროცესში საბაზისო თვითმმართველ ერთეულს „რაიონები“ წარმოადგენი.

2. ახალი ადმინისტრაციული ერთეულები შეიძლება რაიონების საზღვრებში ან ორი ან მეტი რაიონის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდეს თუ ისინი ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს სრულად აქმაყოფილებენ:

- ახალი თვითმმართველი ერთეული თავად წარმოადგენს ფუნქციონალურ ზონაში იგულისხმება ტერიტორია, სადაც მჭიდრო და ხშირი კავშირები არსებობს მოსახლეობასა და ინსტიტუტებს შორის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მიზნებში. ფუნქციონალური ზონა იმ ურბანული ცენტრის გარშემო არის ორგანიზებული, სადაც მოსახლეობის რაოდენობა/კონცენტრაცია სხვა ურბანულ ცენტრებთან შედარებით ყველაზე მაღალია და ამ ცენტრს საშუალება აქვს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას სახელმწიფო მომსახურეობების ფართო სპეციალისტების შესთავაზოს.
- ურბანული ცენტრის ტერიტორიული დაშორება საშუალებას აძლევს მოსახლეობას ისარგებლოს ყველა შეთავაზებული სახელმწიფო მომსახურეობით.
- ახალი ერთეული აქმაყოფილებს ტერიტორიული უწყვეტობის პრინციპს. ტერიტორიული უწყვეტობის პრინციპში იგულისხმება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული სრულად მოიცავს კუთვნილ ტერიტორიას და მასში არ შედის სხვა ერთეულს მიკუთვნებული ტერიტორიის „კუნძულები“.
- ერთეულის ტერიტორიაზე საქმარისი რაოდენობის მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს და მის ერთიანობას ზონის გეოგრაფიული მახასიათებლები განაპირობებენ. საქმარისი რაოდენობის მოსახლეობაში იგულისხმება საშუალო 30,000 მოსახლეზე მეტი.
- ტერიტორიაზე საერთო ისტორიული ტრადიციები უნდა არსებობდეს და დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის ტრადიციული კავშირები უნდა არსებობდეს.
- კანონის შესაბამისად ახალ თვითმმართველ ერთეულებს მიერთებული ერთეულის საზღვრები არა დაიყოფა, არამედ იგი მთლიანად შევა ახალი ერთეულის საზღვრებში.

ზემოთხსენებული ერიტერიუმების გარდა, ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დაცვის მიზნით, შესაძლებელია გამონაკლისი კრიტერიუმის არსებობაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ყველა საერთაშორისო მაგალითი, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ითვალისწინებდა ადგილობრივი მმართველობის ერთეულების შერწყმას ან კონსოლიდაციას სახელმწიფო მომსახურეობების ეფექტურიანობის მიზნით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგ ქვეყნებში კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობების რაოდენობა არსებოთად გაიზარდა, რადგანაც ტერიტორიული მოწყობა კომუნისტურ წყობამდე ტრადიციულად არსებული დასახლებების (სოფლების) მიხედვით განხორციელდა. 1990-იანი ნალების დასაწყისში ასეთი ვითარება იყო უნგრეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში და მაკედონიაში.

კოსოვო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ბოლო 3 წლის განმავლობაში მსხვილი ერთეულების მცირე ერთეულებად დაყოფა მოხდა. კოსოვოს ტერიტორიის მუნიციპალიტეტების ასეთი სახით დაყოფა რაიმე კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით არ განხორციელებულა.

## დანართი 11. თვითშემსრულობაში დასაქმინებული რიცხვებისა და სახელფასო ფონდის მატება

მუნიციპალიტეტების რაოდენობის ზრდას თან ახლავს ადგილობრივი თვითშემსრულობაში დასაქმებულ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ზრდის აღბათობა, რომელთანაც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ხარჯები. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის პროგნოზირება, თუ როგორ აისახება შემოთავაზებული მოდელით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის გატარება საბიუჯეტო სახსრებიდან ადმინისტრაციული პერსონალის შესანახად გასაღებ ხარჯებზე და რა ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი ამ გავლენის მინიმიზირება.

შემოთავაზებული მოდელით მუნიციპალიტეტების რაოდენობა საქართველოში თითქმის სამჯერ მატულობს, ამიტომ გათვალისწინებულია ამჟამინდელი 70 მუნიციპალიტეტის რიცხვის გაორმაგების შემთხვევისათვის, არსებული სამტატო ერთეულებისა და სახელფასო განაკვეთების საშუალო მაჩვენებლების გამოყენებით (ქ. თბილისის და ოკუმინებული ტერიტორიიდან დევნილი მუნიციპალური ორგანოების გარდა).

2014 წლის მონაცემებით, 70 მუნიციპალიტეტში (თბილისის გარდა) 2,511,081 ამომრჩეველია, ანუ ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა მუნიციპალიტეტში 35,872-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტების რიცხვის 2-ჯერ გაზრდის შემთხვევაში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა მუნიციპალიტეტში 17,936 გახდება.

ადგილობრივი თვითშემსრულობის კოდექსის 156-ე მუხლის 1-ლი პუნქტით შემოღებულ იქნა შეზღუდვა გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითშემსრულობის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობაზე, რომლის შესაბამისად ყველა მუნიციპალიტეტში მოახერხა მოსამსახურეთა რაოდენობის ოპტიმიზაცია 2014 წლის მე-2 ნახევარში. ამ ფორმულით საჯარო მოსამსახურეთა ზღვრული რაოდენობა 70 მუნიციპალიტეტში ჯამურად 8,092 უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით კოდექსის აღნიშნულ მუხლში მოცემული ფორმულა იმავე წლის დეკემბერში შეიცვალა, რამაც მუნიციპალიტეტებს შტატების გაზრდის საშუალება მისცა (ჯამურად 70 მუნიციპალიტეტში 10,413 სამტატო ერთეულამდე), ეს ცელით გამოიყენა მუნიციპალიტეტების ნახევარზე ოდნავ მეტმა და 2015 წლის გაზაფხულისათვის სამტატო ერთეულების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში საშუალოდ მხოლოდ 11 ერთეულით გაიზარდა. ამდენად, გამოცდილებამ აჩვენა, რომ სრულიად შესაძლებელია მუნიციპალიტეტებში სამტატო ერთეულების ოპტიმიზაცია კოდექსში 2014 წლის 5 თებერვალს მოცემული ფორმულით, რომლის შესაბამისად გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა 140 მუნიციპალიტეტში საშუალოდ 70 იქნება (საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობა 30 სამტატო ერთეული + 35 სამტატო ერთეული 17,936 ამომრჩეველზე + 5 სამტატო ერთეული მაკორიტარულ ოლექტშე).

2014 წლის თებერვალის მდგომარეობით მუნიციპალიტეტებში არსებული სახელფასო განაკვეთების, სამსახურებისა და ფრაქციების რაოდენობის საშუალო მაჩვენებლების გამოყენებით გამოთვლისას, შემოთავაზებული მოდელით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის გატარების შედეგად საშუალოდ 70 საჯარო მოსამსახურის შტატის მქონე მუნიციპალიტეტის ყოველთვიური სახელფასო ხარჯი 79 ათას ლარს შეადგენს, ხოლო თვითშემსრულებული საჯარო მოსამსახურების (2014 წლის თებერვალის ფორმულით გათვალისწინებული) ზღვრული რაოდენობა ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა თბილისისა) 9,800 გახდება:

თანამდებობა	სტ. თანამდებობის ფაზის განვითარება	სამუშაო რაოდენობა	სულ, თვეში
<b>კამპუნდის მუნიციპალიტეტი</b>			
კონკრეტული მიმღებელი	2 650	1	2 650
მიმღებელი	1 600	1	1 600
მიმღებელი	1 500	2	3 000
სამსახურის დამსახურება	1 150	9	10 350
განყოფილების გამსახურება	1 000	12	12 000
მთავარი სპეციალისტი	620	10	6 200
წამკავმანი სპეციალისტი	570	9	5 130
უფრო სპეციალისტის განყოფილება	520	9	4 680
გამჭვირის თამაშები	850	1	850
გამჭვირის წარმიმდევრები	900	8	7 200
<b>საკუთრებულო</b>			
თავმჯდომარე	2 650	1	2 650
თავმჯდომარის მიადგენელი	1 800	1	1 800
კუთხისის თავმჯდომარე	1 400	5	7 000
უნიტენის თავმჯდომარე	1 400	6	8 400
ამარატის უფროსი	1 150	1	1 150
მთავარი სპეციალისტი	620	3	1 860
წამკავმანი სპეციალისტი	570	2	1 140
უფრო სპეციალისტის განყოფილება	520	1	520
თავმჯდომარის თანამებურება	850	1	850
ჯამი	83	79 030	
მ.მ. საკუთრო მონაბირებური (ფინანსურა)	70		

შედარებისთვის, აშენებდ 12,000-ზე ნაკლები მომზადების მქონე 8 მუნიციპალიტეტში ფურშებით გათვალისწინებულ საჯარო მონაბირებურით რაოდენობა 71-ს, ხოლო ჩათი სამუშაო ყოველთვიური სახელფასო ხარჯი - 74,713 ლარის შეადგენს.

ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი თემატიკურობის ხადაწილი მოსამართულება კაზონმდებლობით დამასჭვირმ მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა შემოირჩება 10,413-დან 9,800-მდე, ანუ 613 ერთეულით და მოუახლეობების დაცვის ასენტური 70 მუნიციპალიტეტში წევალური და დასაქმებულ საჯარო მოხელეთი რაოდენობას (8,765 მოხელე). იმავდროულად, ხელისუფლობრივი თანამდებობის პირთა რაოდენობა, რასაც არ მოიკავს აღნიშნული ფურშები, გაისწირება 903-დან 1,820-მდე, ანუ 917 ერთეულით.

თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთი მაქსიმალური რაოდენობის თეოტომიანელობების, შემოთხვევაშემცილენი მოდელით ჩეტარების შემდეგ, გაისწიდება სულ 310 ერთეულით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის შეადგენს ჯამურად 11,620 დასაქმებულს. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ჯამური ყოველთვიური სახელფასო ხარჯი ასეთ შემთხვევაში შეადგენს მაქსიმუმ 11 მლნ. ლარს.

## ლიტერატურა

აბულაძე, მ. „მუნიციპალური რეფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის გარეშე, მხოლოდ კოსმეტიკა იქნება“ 02.08.2013, <http://www.lsg.ge/?cat=news&topic=1807&lang=ka>

აბულაძე, მ. მუნიციპალური მოწყობისა და დასახლებული პუნქტების კატეგორიებად დაყოფის ერთობის მიზანი რეფორმის მიზანი ამერიკის, ევროპისა და დასთა-ს ქვეყნების კანონმდებლობაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს სამუშაო მასალები, 2013

ძიძიგური, პ (რედ). თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებული კონცეფცია. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, 2003 (ხელნაწერი)

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, „სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების მნიშვნელობა საქართველოსთვის“

რაითი, გ. ადგილობრივი თემობრივი მინისტრის რეფორმის ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელების ტექნიკური სახელმძღვანელო, USAID, 2014 წლის ივნისი

ლოსაბერიძე, დ. პოლიტიკის ანალიზი, საქართველოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ანგარიში, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2012

ლოსაბერიძე, დ., კანდიდატი, კ., აბულაძე, მ., კაპანაძე, ნ., ჭიჭინაძე, დ., ჩიტაძე, მ., თორდინავა, თ., ჩხეიძე, პ., მაზმიშვილი, გ. ნინადადებები თელავის, მცხეთის, გორის, ახალციხის, ზუგდიდის, აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის შესახებ, 2013

კაპანაძე, ნ. „მუნიციპალიტეტის ზომისა და მოსახლეობის საარჩევნო აქტივობის ურთიერთდამოკიდებულება“, 2013

კაპანაძე, ნ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონულ ჭრილში. ძირითადი ტენდენციები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები., 2015

მახარაძე, გ. საქალაქო თემობრივი მინისტრის აუცილებლობა. <http://emc.org.ge/საქალაქო-თემობრივი>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, 2014 <http://www.geostat.ge>

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015

რამიშვილი, რ. სტატია „უინგალი“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8, თბილისი, 1984, გვ. 251

თენგიზ შერგელაშვილი, თ., თოქმაზიშვილი, მ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, შეალედური ანგარიში, „ეროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი“, 2012

გაზეთი „რეზონანსი“ 13 მარტი 2014 6. 065(7707)

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, 2010, სოფლის მეურნეობა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თემობრივი მინისტრის კოდექსის ძირითადი სიახლეები <http://transparency.ge/blog/tvitmmartvelobis-kodeksis-dziritadi-siakhleebi?page=3>

shton, W., Bollman, R., Kelly, W. INDICATORS AND CRITERIA FOR STRONG RURAL MUNICIPALITIES IN MANITOBA, Rural Development Institute, Brandon University, April 25, 2013

Pawel Swianiewicz, Public opinion about local government in Georgia, Prepared for the "Open Society - Georgia" Foundation, 2011

Научно-технический Отчёт по теме: «Региональная схема расселения на территории Грузинской ССР. Раздел – Развитие Тбилисской агломерации». Тбилиси, ТбилЗНИИЭП, 1978.

Региональная схема расселения на территории Грузинской ССР на период до 1991-2001 г.г. Тбилиси, Грузгипрогорстрой, 1979.